# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 7 ივნისი 2006 №128 (2750) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ნუ ვიქნებით ბრმა-ყრუები: შევიგნოთ სოხუმი და ცხინვალი

...უმძიმესი მდგომარეობაა. მთავრობის სხდომაზეც კი დავაყენე ეს საკითხი. ვთქვი, რომ ამგვარი მიდგომა დაუშვებელია. რეგიონის ხელმძღვანელობა ალბათ ვერ ათვითცნობიერებს, რამხელა პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს „ცხინვალის" შენარჩუნებას...

...მადლობელი ვარ, რომ „ცხინვალის" საპატიო პრეზიდენტად ამირჩიეს. უამისოდაც ბოლომდე ვაპირებდი ბრძოლას. სიბრმავე და სიყრუეა, ვერ დაინახო, რას ნიშნავს „ცხინვალი" და „სოხუმი", რამხელა მნიშვნელობა და რეზონანსი ექნება, თუკი ეს გუნდები წარმატებას მიაღწევენ...

...ფეხბურთი კომერციის სფეროა, მაგრამ როცა იგი ამდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული პოლიტიკურ ინტერესთან, არა მხოლოდ ადგილობრივმა ხელისუფლებამ, ქვეყნის მთავრობამაც მეტი უნდა იაქტიუროს...

...ამდენი შოუების, კონცერტების და „პაკაზების" ნაცვლად ჩვენი მეწარმეები ფულს სპორტის განვითარებისკენ თუ მიმართავენ, გაცილებით მეტ სიკეთეს მოიმკიან თავადაც და მთელ ქვეყანასაც არგებენ...

...ბოლოს და ბოლოს, „მანჩესტერ იუნაიტედის" ბიუჯეტი საქართველოსას აღემატება და ამით ყველაფერია ნათქვამი...

...ვინ გაიტანა გოლები 1981 წლის 13 მაისის ფინალში? ვიტალი დარასელიამ და ვლადიმერ გუცაევმა. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ყოველთვის იყო დიდი სპორტული პოტენციალი. ეს თეორია არ არის — ეს სტატისტიკაა...

...ვფიქრობ, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ სწორედ ფეხბურთს შეუძლია ჩვენი ხალხისთვის ყველაზე დიდი სიხარულის მინიჭება...

3

## გა-ხსნა ამ სიცხეში
### პელე შიფერით დახურულში გაიტანს

*მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალის დეტალები გაცხადდა — ყველა თუ არა, ნაწილი დეტალებისა მაინც.*

*გაირკვა იმ 170 ადამიანის ვინაობა, რომლებმაც ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერის თქმით, „საგანგებო სული" უნდა შთაბერონ გახსნის ცერემონიალსაც და მთლიანად ჩემპიონატსაც.*

*ეს ადამიანები მსოფლიოს თასის მომგები ძველი ფეხბურთელები არიან. ყველას რა ჩამოთვლის, მათგან უხუცესია ურუგვაელი ალსიდეს გიჯა — ბრაზილიის დამაქცევარი, 1950-ის ჩემპიონატის მთავარ მატჩში „მარაკანაზე" გადამწყვეტი გოლის გამტანი.*

*და თუ სახელებზე მიდგა საქმე, პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ პელე და მარადონა. მით უმეტეს, რომ სწორედ პელე გაიტანს მსოფლიოს თასს მოედანზე გერმანელ სუპერმოდელ კლაუდია შიფერთან ერთად. და სხვები? ბობი და ჯეკ ჩარლტონები და 22 გერმანელი — 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონები.*

*ხოლო ჩემპიონატს გახსნილად გერმანიის პრეზიდენტი ჰორსტ კოლერი გამოაცხადებს.*





## ამ გოგომ უკვე კარგად იშოვა
### ვაიდიშოვამ სახელიც გაიგდო და ძველებიც

*„როლან გაროსის" კორტებზე ჩეხური ნიკოლშოუ გრძელდება: ჯერაც ნორჩი რომ ეთქმის — ნიკოლ ვაიდიშოვამ ამელი მორესმოს შემდეგ ვინუს უილიამსსაც გამოუყვანა წირვა და პირველად გააღწია სლემტურნირის ნახევარფინალში, სადაც კიდევ ერთ ჯანიან მოთამაშეს, რუს სვეტლანა კუზნეცოვას შეხვდება. ქალთა მეორე ნახევარფინალური წყვილი ბელგიელებმა კიმ კლაისტერსმა და ჟუსტინ ენენ-არდენმა შეადგინეს. გუშინვე გაირკვა კაცთა პირველი და მეტად დამაინტრიგებელი ნახევარფინალური წყვილი — მსოფლიოს პირველი ჩოგანი როჯერ ფედერერი მისთვის ერთ-ერთი ყველაზე უხერხული მეტოქის, დავიდ ნალბანდიანის წინააღმდეგ.*



AFP



## ბარბაროსები, კახეთი, პალმა: შავმა კაცმა თეთრი ღვინო...

13

## სამნი კიევში



**ერთბაშად** სამი ქართველი კიევის „დინამოში“ — ასეთი ჯერ არ ყოფილა. კახა ალადაშვილი, ოთარ მარცვალაძე და დავით იმედაშვილი კიეველებთან ერთად საახალსეზონოდ ემზადებიან და გუნდს პირველ უცხოურ შეკრებაზეც მიჰყვებიან. ჯერ არ ვიცით, დაიტოვებენ თუ არა „დინამოში“ ვიტელ იმედაშვილს, თუმცა მას რომ საამისოდ კარგი შანსი აქვს, ფაქტია.

და ერთიც: კიეველთა მეოთხე ქართველ ალექსანდრე ამისულაშვილის ბედი უახლოეს დღეებში გაირკვევა.

## ბოლნისის სიონი ბიუროკრატიულ მახეში?
### ერთი თოდუა კი, მეორე არა

**ბოლნისის** „სიონი“ ისევ ოთხი აფრიკელი ფეხბურთელის მოლოდინშია, მაგრამ საგარეო საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების სამინისტროსგან ამ მოთამაშეებზე ჩამოსლის ნებართვა არაა გაცემული. „სიონი“ ამ ფაქტით აღშფოთებულია, კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ჯემალ ჭიპაშვილმა გვითხრა, ბიუროკრატიული მეთოდებით გვიშლიან ხელს, მტერს არ გაუკეთებენ, როგორც ისინი იქცევიანო...

ოთხივე აფრიკელი ახლა პარიზშია და ჯერაც არ იციან, როდის მოუწევთ ბოლნისში ჩამოსვლა. „სიონში“ კი ერთი ახალი სახეა: გუნდთან ერთად ვარჯიშობს ნახევარმცველი გია თოდუა, რომელიც ბელარუსის „მტზ-რიპოში“ თამაშობდა. თოდუა ბელარუსში წასვლამდე ფოთის „კოლხეთში“ გახლდათ — იგი ახლა გასინჯვაზეა კახა ცხადაძის გუნდში.

გეცოდინებათ, „სიონი“ გოგი ფიფიასა და სევასტი თოდუას დამატებასაც აპირებს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებისთვის. თუმცა ჩვენ „ზესტაფონის“ გენერალურმა დირექტორმა დავით აბაშიძემ გვითხრა, ძალიან მცირე შანსია, ფიფია და თოდუა თუნდაც ცოტა ხნით დავუთმოთ „სიონსო“...

შეგახსენებთ, ორი უკრაინელი ლეგიონერის, ირაკლი სირბილაძის, ბეგლარ თედორაძისა და მიხეილ ხუციშვილის გარდა, ცხადაძის გუნდი ლევან ხმალაძემაც დატოვა — იგი იჯარით თამაშობდა „სიონში“ და თბილისის „დინამოს“ დაიბრუნა.

ილია ნანოგაშვილი

## ძოძუაშვილი ტორპედოს ვიცე-პრეზიდენტიცაა
### ქუთაისი გაიცხრილა

**ქუთაისის** „ტორპედოს“ საქმეებს კვლავ პროკურატურა იძიებს და, რა თქმა უნდა, ეს დიდად აფერხებს გუნდის გეგმებს. ამას კლუბის პრეზიდენტი გრიგოლ ხურციძე კარგად ხვდება და გული სწყდება, იმის ნაცვლად, ამხელა ტრადიციების მქონე გუნდს გვერდში დაუდგნენ, ხელს გვიშლიანო.

„გარკვეული სიახლეები არის. მთავარი ისაა, რომ რევაზ ძოძუაშვილი გუნდის მთავარი მწვრთნელის გარდა, კლუბის ვიცე-პრეზიდენტი გახდა. აქამდე ეს პოსტი თავისუფალი იყო. ფეხბურთელებიდან კი ბევრი გავუშვით: 38 კაცი გვყავდა და 10-11 დავიტოვეთ. 10 ივნისს ვიწყებთ შეკრებას და, რა თქმა უნდა, რამდენიმე ახალწვეულიც ჩვენთან იქნება. პროკურატურის შემოსვლა რომ არა, უკვე დაწყებული გვექნებოდა მზადება. შეკრების პირველ ეტაპს ქუთაისშივე გავივლით და არ გამოვრიცხავ, ერთი კვირით თურქეთშიც წავიდეთ. მიზნებს არ ვცვლით: მომავალ სეზონში, სულ მცირე, უეფას თასზე უნდა გავიდეთ“ — გვითხრა გრიგოლ ხურციძემ.

ილია ნანოგაშვილი

## მორჩა: თბილისი და სპონსორი არ გამოვიდა

**წინა** კვირას გაუწყეთ, რომ „თბილისმა“ სავარაუდო სპონსორთან მოლაპარაკება დაიწყო, რასაც გუშინ უნდა დასმოდა წერტილი და ასეც მოხდა — „თბილისი“ და შესაძლო სპონსორი პირობებზე ვერ შეთანხმდნენ.

„თბილისში“ გვითხრეს, რომ მალე ახალ შესაძლო სპონსორთან დაიწყება მოლაპარაკება და თუ აქედანაც არაფერი გამოვიდა, გუნდი ოდენ საკუთარი ძალებითა და სახსრებით გააგრძელებს არსებობას, რითაც მაღალი ადგილებისთვის, ალბათ, ველარ იბრძოლებს.

ლუკა თალაკვაძე

# რა დროს ფანტაზიებია...
## კახა კალაძე: გადაწყვეტილია, კარიერას მილანში დავასრულებ

„შევჩენკო, კალაძე, გლები... ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ევროპის უძლიერეს ლიგებში არც ერთი რუსი არ თამაშობს — როგორც ჩანს, ეს საკითხი „სოვეტსკი სპორტს“ ძალიან აღელვებს და კახა კალაძეს ამაზეც ეკითხება. საინტერესო ინტერვიუა, სადაც საუბარია მოახლოებულ მუნდიალზე, კლაუს ტოპმიოლერზე, საქართველოს ნაკრებზე, „მილანზე“, ანდრეი შევჩენკოს „ჩელსიში“ გადასვლაზე და კახას სეზონისწინა გეგმებზე...



— „მილანი“ შარშანდელივით მეორე ადგილზე გავიდა სერია A-ში, რაც ცუდი შედეგი არ არის. სამწუხაროდ, ჩემპიონატის ბოლოს სამსაჯო სკანდალი მოხდა და ჯერჯერობით უცნობია, რით დამთავრდება ეს ყველაფერი. სულაც არ გამოვრიცხავ, „იუვენტუსს“ ქულები დააკლონ და ჩემპიონებად ჩვენ გამოგვაცხადონ.

**— შარშან ამ დროს კინაღამ „ჩელსიში“ გადახვედით, მაგრამ, რაც თქვენ არ გააკეთეთ, ახლა შევჩენკომ გააკეთა. ამას წინათ ისიც თქვით, „შევას“ ისე ვერ შეიყვარებენ ინგლისში, როგორც იტალიაში უყვარდათო...**

— მართალია, ასე ვთქვი. მე ძალიან მწყინს, რომ „მილანიდან“ ასეთი ფეხბურთელი და ადამიანი წავიდა. თუმც მიხარია კიდეც, რადგან შევჩენკომ „ჩელსიში“ გადასვლა დიდი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა, ესე იგი, ასე ჩათვალა საჭიროდ. მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება და ანდრეის შეუძლია, მთლიანად გადაერთოს ნაკრებზე.

**— ბევრი ფიქრობდა, რომ „მილანი“ და შევჩენკო არასოდეს დაშორდებოდნენ. სხვათა შორის, ასევე ვერ წარმოგვიდგენია კახა კალაძე სხვა კლუბის ფორმით...**

— „მილანთან“ 2010 წლამდე გავაფორმე კონტრაქტი და შემიძლია თამამად ვთქვა, რომ კარიერას ამ კლუბში დავასრულებ.

**— მუნდიალზე ვის გულშემატკივრობთ?**

— ანდრეის და მის უკრაინას. ასევე მოუთმენლად ველი იტალიის ნაკრების თამაშს, სადაც ჩემი ბევრი მეგობარია.

**— ფავორიტად ვინ მიგაჩნიათ?**

— ორიგინალური არ ვიქნები — ბრაზილია, ინგლისი და იტალია. თუმცა ნებისმიერ ნაკრებს შეუძლია სიურპრიზის შემოთავაზება. უკრაინა? ჯგუფიდან უნდა გავიდეს, მერე კი ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

**— საქართველოს ნაკრები როდის გავა მუნდიალზე?**

— აბა, როგორ გიპასუხოთ? უნდა ვიბრძოლოთ. გვყავს კარგი ფეხბურთელები, კარგი მწვრთნელი... შედეგი გვჭირდება...

**— თბილისის „დინამოში“ რუსი მწვრთნელი ანდრეი ჩერნიშოვი მუშაობდა. თავის დროზე თქვენ „დინამოში“ თამაშობდით და როგორ შეხვდით ჩერნიშოვის დანიშვნას?**

— როგორ უნდა შევხვედროდი? ნორმალურად. თუმცა „დინამოსთვის“ მესამე ადგილი ის არაა, რასაც ხელმძღვანელობა და გულშემატკივრები ითხოვდნენ. საერთოდ, საქართველოს ჩემპიონატში საშინლად დაბალი დონეა. ჩემ დროს „დინამო“ 7:0 და 8:0 იგებდა...

**— ჩერნიშოვმა დიდწილად სწორედ საქართველოს ჩემპიონატის დაბალი დონის გამო დატოვა „დინამო“. მან ისიც თქვა, რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის გაუარესებამაც იმოქმედაო. რას ფიქრობთ ამაზე?**

— მგონი, ეს ჭორია. პოლიტიკა სპორტსმენის საქმე არაა. ქვეყნებს შორის რაღაც გაუგებრობა რომ არის, ეს უბრალო ადამიანებს აწვებათ ტვირთად.

**— არდადეგებზე საქართველოში ჩახვალთ და რას გააკეთებთ?**

— სამტრედიაში ვიქნები, სადაც ჩემი ძმის საფლავია. წლეულს დავიწყეთ ტაძრის მშენებლობა — პირველი ქვა 11 მაისს, ლევანის დაბადების დღეს ჩაიდო. თუ ყველაფერი კარგად აეწყო, მშენებლობა 2008 წელს დასრულდება.

**— როგორ გგონიათ, რატომ არ თამაშობს ევროპის უძლიერეს საფეხბურთო ჩემპიონატებში არც ერთი რუსი?**

— რუსეთის ჩემპიონატის დონე იზრდება და საუკეთესო ფეხბურთელებსაც აღარ სჭირდებათ უცხოეთში წასვლა — სხვა პასუხი ვერ მომიძებნია. უკრაინაში და, მით უმეტეს, საქართველოში მოთამაშეებს უჭირთ კლასის ამაღლება, ამიტომაც მიდიან უცხოეთში.

**— ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთიანი ჩემპიონატი — როგორ უყურებთ ამ იდეას?**

— სიმართლე გითხრათ, ჩემთვის ეს უინტერესოა. მაგრამ თუ ფანტაზიაა, მაშინ საბჭოთა ნაკრებზე ვილაპარაკოთ — წარმოიდგინეთ, საქართველოს, რუსეთისა და უკრაინის ნაკრებების საუკეთესო ფეხბურთელები რომ შევკრიბოთ, რა გუნდი შეიქმნებოდა...

**ისლანდია**

პრემიერდივიზიონი
V ტური

რეიკიავიკი 3:2 ბრეიდაბლიკი

**ირლანდია**

პრემიერდივიზიონი
გადადებული მატჩი

შელბურნი 1:0 დერი სიტი

# გოგა ხაინდრავა ცხინვალის პრეზიდენტია

შარშან საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გაფართოებას ერთ-ერთ საფუძვლად ეგრეთ წოდებული პატრიოტული მოტივი დაედო. „ცხინვალს“ და სოხუმის „დინამოს“ უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მიეცათ, თუმცა იმ ეტაპზე გადაწყვეტილების მიღება აშკარად ნაჩქარევად მოხდა და შედეგიც სახეზეა — უსახსრობით განაწამები სოხუმის „დინამო“ თითქმის სეზონის დაწყებისთანავე გასავარდნად იყო განწირული, „ცხინვალმა“ კი რის ვაი-ვაგლახით ჩაამთავრა ჩემპიონატი და გადათამაშების გავლით შეინარჩუნა ადგილი ლიგაში. ამის მიუხედავად, „ცხინვალი“, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტის ამარა შემხედვარეა, კვლავაც უფულოდაა და შესაძლოა, უმაღლეს კი არა, პირველ ლიგაშიც ვერ ითამაშოს. ყველას კარგად გვესმის, რამხელა მნიშვნელობა აქვს „ცხინვალის“ და სოხუმის „დინამოს“ შენარჩუნებას ქართული ფეხბურთისთვის, მაგრამ საშველი რომ არ ჩანს? გუშინ კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში სახელმწიფო მინისტრს, „ცხინვალის“ ახლადარჩეულ საპატიო პრეზიდენტ გოგა ხაინდრავას ვესტუმრეთ და ჩვენი საუბარი ბუნებრივად გასცდა არამხოლოდ საფეხბურთო, ზოგადსპორტულ ჩარჩოებსაც...



## ნაკრებში ფეხებს უფრო მეტად დავამტვრევინებდი

**— რა ემველება „ცხინვალს“? როგორც საპატიო პრეზიდენტი, ალბათ ფლობთ ინფორმაციას ამ გუნდის თაობაზე...**

— უმძიმესი მდგომარეობაა. მთავრობის სხდომაზეც კი დავაყენე ეს საკითხი. ვთქვი, რომ ამგვარი მიდგომა დაუშვებელია. რეგიონის ხელმძღვანელობა ალბათ ვერ ათვითცნობიერებს, რამხელა პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს „ცხინვალის“ შენარჩუნებას. ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლება აფინანსებს გუნდს, რომელიც ჩრდილოეთ ოსეთის პირველობაზე თამაშობს, „ცხინვალი“ კი ყოველგვარი დახმარების გარეშე დარჩა. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ გუნდში ქართველთა გვერდით ოსი ბიჭებიც თამაშობენ. ეს არის პირდაპირი სახელმწიფოებრივი ინტერესი, რომ ორად გახლეჩილ საზოგადოებას საერთო საფიქრალი გაუჩნდეს. ასეთ ვითარებაში საკითხის უყურადღებოდ დატოვება არის როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური შეცდომა.

**— რა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას აპირებთ მდგომარეობის გამოსასწორებლად?**

— მადლობელი ვარ, რომ „ცხინვალის“ საპატიო პრეზიდენტად ამირჩიეს. უამისოდაც ბოლომდე ვაპირებდი ბრძოლას. სიბრმავე და სიყრუეა, ვერ დაინახო, რას ნიშნავს „ცხინვალი“ და „სოხუმი“, რამხელა მნიშვნელობა და რეზონანსი ექნება, თუკი ეს გუნდები წარმატებას მიაღწევენ და საერთაშორისო ტურნირებში დაფიქსირდებიან. ეს არის საკითხი, რომელშიც ჩემი და ადგილობრივი ხელისუფლების ხედვა არ ემთხვევა. კარგად მესმის, რომ ფეხბურთი კომერციის სფეროა, მაგრამ როცა იგი ამდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული პოლიტიკურ ინტერესთან, არამხოლოდ ადგილობრივმა ხელისუფლებამ, ქვეყნის მთავრობამაც მეტი უნდა იაქტიუროს. ეს მხოლოდ ფეხბურთს არ ეხება — ზოგადად, ბავშვთა და სამოყვარულო სპორტისთვის მაქსიმალური ხელშეწყობა იმის საწინდარია, რომ ხვალ სპორტში ახალი, ძლიერი თაობა მოვა. მიხარია, რომ ქვეყნის პრეზიდენტის ინიციატივით ხდება მინი-მოედნების აღდგენა-განახლება, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი ნაბიჯია, რომელსაც აუცილებლად უნდა მოჰყვეს მეორე. საერთაშორისო არენაზე მოპოვებული სპორტული წარმატება თავისი მნიშვნელობით პოლიტიკურს არაფრით ჩამოუვარდება და ეს ყველამ უნდა გაითავისოს.

**— მით უმეტეს, სპორტს ქვეყნის ეკონომიკაში სერიოზული სიტყვის თქმა შეუძლია...**

— სპორტი ქვეყნის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებში უნდა იყოს ჩართული. თუ სადმე შეიძლება ეკონომიკური სარგებლის მიღება, ერთ-ერთი სპორტიცაა. მრავალ ქვეყანაში სპორტის დაფინანსების ერთ-ერთ საუკეთესო გზად ლატარიები იქცა. ასე მოხდა იტალიაში, თურქეთში კი ბოლო 10-15 წლის განმავლობაში წარმოუდგენელ შედეგებს მიაღწიეს. იყო დრო, როცა თბილისის „დინამო“ თურქულ კლუბებს და მათ ნაკრებსაც კი თავს არ უყადრებდა, დღეს კი თავადაც იცით, რამხელა სხვაობაა მათსა და ჩვენს შორის. მსგავსი ვითარება იყო კალათბურთში, სპორტის თითქმის ყველა სახეობაში... ერთადერთი ჭიდაობაში გვეპაექრებოდნენ ხოლმე ტოლსწორად თურქები. დღეს სურათი კარდინალურად შეიცვალა...

**— გამოსავალი?**

— ამდენი შოუების, კონცერტების და „პაკაზების“ ნაცვლად ჩვენი მეწარმეები ფულს სპორტის განვითარებისკენ თუ მიმართავენ, გაცილებით მეტ სიკეთეს მოიმკიან თავადაც და მთელ ქვეყანასაც არგებენ. კი ბატონო, პოდიუმზე ნახევრად შიშველი ლამაზი ქალების ცქერა ემოციურად ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ საკითხავია, რაში გვარგია ეს ყველაფერი. გუშინ „ბარბაროსების“ სტუმრობასთან დაკავშირებით ბრიტანეთის ელჩს შევხვდი. როგორც შევიტყვე, ბრიტანეთში რაგბის 450 ათასი კაცი თამაშობს, საქართველოში — სამი ათასი. იმის მიუხედავად, რომ ამ სამი ათას ქართველს ნახევრად ხრიოკ მინდვრებზე უხდება ვარჯიში და თამაში, „ბარბაროსებს“ თითქმის ტოლსწორად ვეთამაშეთ. ეპიზოდებში ვაჯობეთ კიდევაც და გამარჯვებამდე სულ ცოტა დაგვაკლდა — ეგებ სწორედ ის დახმარება, რომელსაც სახელმწიფოსგან უნდა იღებდეს სპორტი.

**...კალათბურთშიც ასეთივე ვითარებაა: როგორ შეიძლება, სამი წარმომადგენელი გყავდეს ნბა-ში და ამ სპორტს სერიოზულ ყურადღებას არ აქცევდე?! კალათბურთში მწვერვალებს ქართველები ლამის ნახევარი საუკუნის წინ იპყრობდნენ. 1962 წელს თბილისის „დინამომ“ ჩემპიონთა თასი მოიგო, საბჭოთა კავშირის ნაკრები კი მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონობას დიდწილად ქორქია-საკანდელიძის ტანდემს უნდა უმადლოდეს. განა, თუნდაც ამხელა ტრადიციის გამო არ ეკუთვნის სპორტს ცოტა მეტი ხელშეწყობა?!**

**— ბრძანეთ, მთავრობის სხდომაზე დავაყენე საკითხიო. როგორი იყო რეაქცია?**

— ვფიქრობ, ამ სფეროში ფულის დაბანდების მნიშვნელობა ბოლომდე არ არის გაცნობიერებული. გასაგებია, რომ ფორსმაჟორულ ვითარებაში გვიწევს მუშაობა, ხან ენერგეტიკული პრობლემები გვაქვს და ხან პოლიტიკური, თუმცა ეს გასამართლებელ საბუთად ნაკლებად გამოგვადგება. წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისითაც კი, სპორტი ქვეყნისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროა. როცა თურქული კლუბები ათობით მილიონ დოლარს უხდიან ფეხბურთელებს, ხომ ცხადია, რომ მათი მთლიანი კაპიტალბრუნვა რამდენჯერმე მეტია. ბოლოს და ბოლოს, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ბიუჯეტი საქართველოსას აღემატება და ამით ყველაფერია ნათქვამი — სპორტს მარტო სახსრების წაღება კი არა, სერიოზული სარგებლის მოტანაც შეუძლია.

**— რამდენად ეფექტურად ვიყენებთ სპორტის, როგორც სახალხო დიპლომატიის ფაქტორს, თუნდაც ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებასთან ურთიერთობაში? ხომ არ შეგითავაზებიათ მათთვის რეგიონში რამდენიმე მინი-მოედნის მოწყობა საქართველოს ხელისუფლების სახსრებით?**

— დღეს ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლება ყველა ამგვარ წინადადებას უარყოფს. კარგად ესმით, რომ ეს შექმნის ჩვენს ხალხებს შორის ურთიერთობის აღდგენის პრეცედენტს, ეს კი მათ გეგმებში ნაკლებად შედის. მესმის, რომ თავის დროზე ჩვენი მხრიდანაც იყო დაშვებული შეცდომები, იყო სისხლი, მტრობა, ტკივილი, მაგრამ ურთიერთობები ყველაფრის მიუხედავად აღდგება, რადგან ამას მრავალსაუკუნოვანი საფუძველი გააჩნია.

**— ქართული სპორტი აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან მუდამ სერიოზულ შევსებას იღებდა...**

— ამიტომაც ვერ ვეგუები „ცხინვალის“ და სოხუმის „დინამოს“ უყურადღებოდ დატოვებას. აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა სამას ათასამდეა და მათ აუცილებლად უნდა ჰყავდეთ გუნდი. ეს არ არის მკვდრადშობილი იდეა, აფხაზეთი ყოველთვის იყო ქართული სპორტის და კონკრეტულად ფეხბურთის სერიოზული კერა. ბოლოს და ბოლოს, ვინ გაიტანა გოლები 1981 წლის 13 მაისის ფინალში? ვიტალი დარასელიამ და ვლადიმერ გუცაევმა. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ყოველთვის იყო დიდი სპორტული პოტენციალი. ეს თეორია არ არის — ეს სტატისტიკაა.

**— ამ ეტაპზე რაიმე დამაიმედებელი თუ შეგიძლიათ უთხრათ „ცხინვალის“ ან სოხუმის „დინამოს“ ქომაგებს?**

— სამწუხაროდ, ვერა. თუმცა აუცილებლად დაველაპარაკები პრემიერ-მინისტრს. მთავრობამაც და რეგიონის ხელმძღვანელობამაც უნდა იფიქრონ, რომ სპორტი მნიშვნელოვანი პროპაგანდისტული საკითხიცაა. მადლობა ღმერთს, ქვეყანა შენდება, ბიუჯეტი იზრდება, სპორტს კი წარმოუდგენლად დიდი თანხები ნამდვილად არ სჭირდება. ფეხბურთი მაინც განსაკუთრებული ფენომენია. ვფიქრობ, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ სწორედ ფეხბურთს შეუძლია ჩვენი ხალხისთვის ყველაზე დიდი სიხარულის მინიჭება.

**— როგორც ფეხბურთის ქომაგს, შეუძლებელია საქართველოს ნაკრებზე არ დაგეკითხოთ. თუ ადევნეთ თვალი პარაგვაელებთან მატჩს?**

— რა თქმა უნდა. მარცხის შემდეგ ალფრთოვანება უადგილოა, მაგრამ, რაც მთავარია, მე დავინახე გუნდი. საქართველოს ნაკრები, რომელიც ახლა იწყებს შენებას და ფაქტობრივად შვებულებიდან გამოსული ფეხბურთელებისგან შედგებოდა, მეტოქეს ფიზიკურად არაფერში ჩამორჩა. ბოლოს მაინც ტრადიციულმა ავადმყოფობამ დაგვალალატა და სამი რეალური მომენტიდან ერთიც ვერ გამოვიყენეთ. მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე პარაგვაელებთან, რომლებმაც სამხრეთ ამერიკის შესარჩევ ზონაში დიდებული შედეგი აჩვენეს, ამგვარი თამაში იოლი არ არის. მჯერა, თუ კლაუს ტოპმიოლერს სათანადო სამუშაო პირობებს შეუქმნიან, წარმატებას აუცილებლად მივაღწევთ. თუმცა აქვე მინდა მივმართო ჩვენს ფეხბურთელებს, იმ ბიჭებს, რომლებიც ძალიან მიყვარს და უდიდეს პატივს ვცემ: მესმის, რომ ფეხებს გაფრთხილება უნდა, მაგრამ საქართველოს ნაკრებში თამაშისას თავდადება და პასუხისმგებლობა ათასჯერ მეტი უნდა იყოს, ვიდრე „მილანში“, „შალკეში“, „ალკმაარში“, „ტვენტეში“, სხვა უცხოურ გუნდებში... ნაკრებში ფეხებსაც უფრო მეტად დავამტვრევინებდი მეტოქეს, რადგან ამ დროს ჩემს უკან ჩემი ქვეყანა დგას...

**გიორგი ნოზაძე**

# იმპერატორი მასშტაბებში შეიზღუდა

## ვლადიმირ რომანოვი: წამაყვანინეთ ქართველები ჰართსში

**რუსული ფესვების მქონე ლიტველ ბიზნესმენ ვლადიმირ რომანოვს საკუთარი საფეხბურთო იმპერია აქვს. ლიტვური „კაუნასის“ და ბელარუსული „მტზ-რიპოს“ შემდეგ მან შოტლანდიური „ჰართსი“ შეიძინა და წლეულს ამ კლუბმა თითქმის შეუძლებელი შეძლო — შოტლანდიის ჩემპიონატში „რეინჯერსის“ უკან მოტოვება ხომ გვარიანი სენსაციაა. შედეგი თავისთავად მეტყველებს კლუბის ხელმძღვანელობის საფეხბურთო ალღოზე და როცა პირველად ახსენეს, შესაძლოა, რომანოვი საქართველოშიც გამოჩნდესო, ერთი ჩვენებური კლუბის სერიოზულად მოლონიერების იმედი მოგვეცა, თუმცა...**





ვლადიმირ რომანოვს ნუკრი მანჩხავამ იმედები გაუმართლა

— რამდენიმე თვის წინ სერიოზულად განიხილებოდა თქვენი საფეხბურთო იმპერიის საქართველოში გაფართოების საკითხი...

— სამწუხაროდ, ამხელა მასშტაბებს ვერ გავწვდებით.

— რომანოვები მასშტაბებში არასოდეს შეზღუდულან...

— გეოგრაფიულ კი არა, ფინანსურ მასშტაბებზეა ლაპარაკი. სამ კლუბს სათანადოდ მიხედვა სჭირდება და თუკი მეოთხე საფიქრალს გავიჩენ, იმ სამს აუცილებლად რაღაც დააკლდება.

— ამბობდნენ, რომ ქუთაისის „ტორპედოში“ აპირებდით გამოჩენას...

— ამ ეტაპზე რომელიმე ქართულ კლუბში ინვესტიციის ჩადების საკითხი არც განიხილება.

— კონკრეტული ფეხბურთელის ან ფეხბურთელების?

— ერთი ქართველი ფეხბურთელი ჩვენი თვალთახედვის არეში მართლაც მოხვდა და შესაძლოა, ამ ზაფხულსვე გავუფორმოთ კონტრაქტი, თუმცა მის ვინაობას არ გავამხელ.

— ეს იმის შედეგია, რომ ლიტვაში მოთამაშე ჩვენებურებით კმაყოფილი ხართ?

— რა თქმა უნდა. გივი კვარაცხელია საუკეთესო ლეგიონერად აღიარეს, ნუკრი მანჩხავა მას არაფრით ჩამორჩება, აკაკი ხუბუტიაც ძალიან კარგი ბიჭია.

— თქვენი ნება რომ იყოს, შოტლანდიურ „ჰართსში“ რომელს გადაიყვანდით?

— ალბათ სამივეს, თუმცა პირველ რიგში მანჩხავას. ერთადერთი, რაც ხელს მიშლის, ბრიტანული კანონმდებლობაა — მას სანაკრებო მატჩები არ უმაგრებს ზურგს, ამის გარეშე კი ბრიტანულ სამუშაო ვიზას ვერაფრით მიიღებს.

— ეს ფეხბურთელები „ჰართსის“ ძირითადში შეძლებდნენ თამაშს?

— სიმართლე გითხრათ, „ჰართსში“ მათ პოზიციებზე უკეთესი ფეხბურთელები თამაშობენ, თუმცა იმ უკეთესებს შემცვლელები სჭირდებათ.

— თქვენ რომ გკითხონ რჩევა, ამ სამეულიდან საქართველოს ნაკრებში რომელს გაუწევდით რეკომენდაციას?

— კვარაცხელიას სანაკრებო გამოცდილება აქვს და მისი შესაძლებლობები საქართველოში უჩემოდაც კარგად იციან, მანჩხავას დამატებით კი საქართველოს ნაკრები მხოლოდ მოიგებდა.

**გიორგი ნოზაძე**

# ყველაზე გამოცდილი ევროფრონტელი ამერში

## ვახტანგ ხვადაგიანს აზერბაიჯანის დონე არ აშინებს



*საქართველოს თასის მფლობელი თბილისის „ამერი“ ივლისში უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებს. „ამერში“ რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელია, ევროტურნირზე კი ყველაზე ბევრჯერ 34 წლის ცენტრალურ მცველ ვახტანგ ხვადაგიანს უთამაშია — ის ოთხ სეზონში გავიდა ევროტურნირზე და ახლა მეხუთედაც დააგემოვნებს...*

— საკმაოდ ტევადი ბიოგრაფია გაქვს, ყველაფერი კი თბილისის „დინამოდან“ დაიწყო...

— „დინამოს“ დუბლებში რომ მივედი, 16 წლის ვიყავი და საბჭოთა კავშირის დუბლების ჩემპიონატში ვთამაშობდი. მაშინ საყრდენი ნახევარმცველი ვიყავი, ჩემი თანაგუნდელები იყვნენ გოჩა ჯამარაული, რევაზ არველაძე, მიხეილ ყაველაშვილი, გია ნემსაძე...

— „დინამოს“ დუბლების შემდეგ ერთი ხანობა საერთოდ არ ჩანდი...

— საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის შემდეგ არეულობა იყო და წელიწადნახევარი არ მითამაშია. შემდეგ საქართველოს ჩემპიონატის მეორე ლიგაში განვაახლე თამაში, ხოლო 1994 წელს უმაღლესლიგელ „შევარდენში“ გადავედი...

— სადაც ნახევარი სეზონი გაჩერდი და უკრაინის უმაღლესი ლიგის „ვერესში“ გადახვედი, თუმც იქიდანაც მალე წამოხვედი...

— „ვერესი“ არგავარდნისთვის იბრძოდა და ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურით ადრე წამოვედი. ორი წელი „სამტრედიაში“ ვითამაშე, შემდეგ ქუთაისის „ტორპედოში“ მივედი, ხოლო 1997 წელს ფოთის „კოლხეთს“ საევროტურნიროდ დავემატე — მინსკის „დინამოსთან“ სტუმრად 1:2 წავაგეთ, შინ 0:0 ვითამაშეთ და უეფას თასს გამოვეთიშეთ.

— 2000, 2001, 2002 წლებში ქუთაისის „ტორპედოში“ ზედიზედ სამჯერ გახდი საქართველოს ჩემპიონი და ევროსარბიელზე თამაშის კარგი გამოცდილება მიიღე...

— რა თქმა უნდა, როცა ისეთ გუნდებს ეთამაშები აეკ-ი, „ცრვენა ზვეზდა“, „კოპენჰაგენი“ და „ლანსი“ რომ არიან, გამოცდილებას იძენ.

— „ტორპედოში“ თამაშისას კარგი შანსი გქონდა, ვლადიკავკაზის „ალანიაში“ გადასულიყავი, მაგრამ ტრანსფერი ბოლო მომენტში არ შედგა — რა მოხდა?

— „ტორპედოდან“ რომ წავედი, „ალანიაში“ სამი თვე ვიყავი, მთელი სეზონისწინა მოსამზადებელი ეტაპი გუნდთან ერთად გავიარე, საკონტროლო მატჩები ვითამაშე, „ალანიას“ მწვრთნელ ვალერი გაზაევსაც მოვეწონე; კონტრაქტი გავაფორმე და ხელფასი დამინიშნეს, მაგრამ ამ ტრანსფერში „ტორპედოს“ პრეზიდენტი ბესო ჯიქია და ვლადიმერ გუცაევიც მონაწილეობდნენ და ისინი და „ალანია“ ვერ შეთანხმდნენ, სეზონის დაწყებამდე ორი კვირით ადრე წამოვედი „ალანიადან“.

— რომელი იყო შენი საუკეთესო სეზონი?

— ეს სეზონი კარგი გამოვიდა, თასი ავიღეთ, მაგრამ საუკეთესო ჩემთვის ის სამი სეზონი იყო, ზედიზედ სამჯერ საქართველოს ჩემპიონი რომ გავხდი.

— ახლა „ამერში“ უნდა ითამაშო უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე — თუ ეს ბარიერი დაძლიეთ, სენსაცია იქნება?

— პირველი ეტაპის გადალახვა წარმოუდგენელი არ უნდა იყოს. გააჩნია, წილისყრა რომელ მეტოქეს შეგვახვედრებს. მაგალითად, აზერბაიჯანული გუნდი თუ შეგვხვდა, პირველი ეტაპი უნდა გავიაროთ.

**დავით თავართქილაძე**



# გადაიღეთ მაგალითი

## პეტრიაშვილს უეფამ კამერა აადევნა

**თბილისის** „დინამოს“ ყოფილი მმართველი დირექტორი დავით პეტრიაშვილი კარგა ხანია, ქართული ფეხბურთის ავანსცენაზე აღარ გამოჩენილა. უეფაში საკმაო ავტორიტეტის მქონე პეტრიაშვილის გამოჩენას მსოფლიოს ჩემპიონატზეც ველოდით — ჩემპიონთა ლიგის მატჩების დირექტორობის გარდა ხომ მას 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე ერთ-ერთი ჯგუფის დირექტორობაც ანდეს და მოვალეობას ჩინებულად გაართვა თავი.

როგორც აღმოჩნდა, ამჯერად უეფამ დავით პეტრიაშვილის სხვა ფრონტზე გამოყენება გადაწყვიტა. ის უკვე დიდი ხანია, ქვეყნიდან ქვეყანაში მივლინებით დადის და იმ სტადიონებს ამოწმებს, ევროტურნირების მატჩების მასპინძლობაზე რომ აქვთ პრეტენზია. ყაზახეთი და სომხეთი უკან დარჩა — ამ ქვეყნების სტადიონთა ინსპექტირება პეტრიაშვილმა უკვე დაასრულა და ამჟამად აზერბაიჯანში იმყოფება. ცნობისთვის: ჩვენს მეზობლებს ორი ლიცენზირებული სტადიონი უკვე აქვთ. ახლა მათ მარიფათსა და დავით პეტრიაშვილის დასკვნაზეა დამოკიდებული, იქცევა თუ არა ორი ექვსად. იმის ფონზე, რომ ევროტურნირებზე მოხვედრილ ყველა ქართულ კლუბს ერთადერთი „მიხეილ მესხის“ იმედი აქვს, აზერბაიჯანელებისა თეთრი შურით შეგშურდება კაცს...

აზერბაიჯანის შემდეგ რიგში თურქეთია, სადაც დავით პეტრიაშვილი იმავე მისიით მიემგზავრება და თან უეფას გადამღებ ჯგუფსაც იახლებს, რომელიც ამ პროცესს ფირზე აღბეჭდავს. ქართველი ექსპერტის მუშაობის პროცესი უეფას სხვა მისი კოლეგებისთვის თურმე ერთგვარ მაგალითად სჭირდება.

**გიორგი ნოზაძე**



# გაიძვერამ სასტუმროში დარეკა

## ინტერვიუ მოედნის ცენტრალური ხაზის გაგრძელებასთან

ვინ არის თანამედროვე ფეხბურთში ყველაზე გავლენიანი ფიგურა? ალბათ, ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი, არა? ჰოდა, კაცი, რომელსაც უამრავი მეგობარი და რასაკვირველია უამრავი მტერი ჰყავს, პარასკევამდე ვერ ითმენს, ერთი სული აქვს როდის დაიწყება მსოფლიოს ჩემპიონატი.

ჰერ ბლატერი 70 წლისაა, მაგრამ გაისად კიდევ ერთხელ აპირებს თავისი კანდიდატურის წამოყენებას იმ თანამდებობაზე, რომელიც რვა წელიწადია უპყრია



— გაისად ფიფას პრეზიდენტის არჩევნები პირველად გაიმართება იმ წელიწადს, როდესაც მსოფლიოს ჩემპიონატი არ ტარდება. სხვათა შორის, ბევრს გაკრიტიკებენ...

— კრიტიკა და ჩემთან ბრძოლა უკვე ტრადიციაა. 1998 წელს ჟოაო ავალანჟის შემდეგ ფიფას პრეზიდენტის თანამდებობაზე პირველად რომ ამირჩიეს, დიდი ბრძოლა გადამხდა. უარესი იყო სეულში 2002 წელს და აი, კარს ახალი არჩევნები მოგვადგა. ისე, კრიტიკოსები ეტყობა ჯერ ვერ გადაეწყვნენ, რომ არჩევნები წლეულს კი არა, გაისადაა.

— ამბობენ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ყველა სტადიონზე ადგილს ზუსტად მოედნის ცენტრალური ხაზის გაგრძელებაზე ითხოვთ, მართალია?

— ასეთ რამეს რომ ვიგებ, ზოგი ჟურნალისტის სერიოზულობაში ეჭვი მეპარება. იცით, ოდესღაც თავად ვიყავი სპორტული ჟურნალისტი და მსგავსი რამეების გაგონებაზე სირცხვილით ვიწვი. ხომ არ ჩავაბარო ის ჩემი ძველი ჟურნალისტის მოწმობა მათგან რომ გამოვირჩეოდე?

— იმასაც ამბობენ, რომ ჩემპიონატის დღეებში თქვენ ბერლინის ყველაზე მდიდრული სასტუმროს იმ ნომერში იცხოვრებთ, დღე-ღამე 12 ათასი შვეიცარიული ფრანკი რომ ღირს.

— მისმინეთ, ასე არ შეიძლება. ასეთი ცნობების დაბეჭდვამდე ჟურნალისტი ვალდებულია ისინი გადაამოწმოს. დღეს ინტერნეტ-პრობლემების ეპოქაა. ინტერნეტში ვისაც რა უნდა იმას ამბობს, ბოროტი ადამიანები კი სიამოვნებით ავრცელებენ და ანვითარებენ ასეთ ხმებს. დიახ, ფიფას თანამშრომლებისთვის ნომრები ბერლინის ერთ-ერთ სასტუმროში აქვს შეკვეთილი, ვიღაც გაიძვერამ კი ამით ისარგებლა, დარეკა ოტელში, ჰკითხა თქვენთან ყველაზე ძვირი ნომერი რა ღირსო და გაავრცელა ხმა, რომ იქ მე ვიცხოვრებ.

— ალბათ, თქვენთვის ძალიან უსიამოვნო იყო ენდრიუ ჯენინგსის წიგნის გამოსვლა, სადაც ავტორი გადასახადებისგან თავის არიდებაში გდებთ ბრალს. მას მერე თქვენი სახლი პოლიციამ გაჩხრიკა. რას გერჩის ეს ხალხი?

— სწორედ ამას ვეკითხები საკუთარ თავს და პასუხი ვერ გამიცია. ნებისმიერ დასაბუთებულ კრიტიკას ვეგუები, მაგრამ ფიფას გაწეული საქმიდან დადებით ნაწილსაც რომ არ აღიარებენ, მაკვირვებს. პრეზიდენტისადმი ოდნავი პატივისცემა მაინც არის საჭირო. ჟურნალისტები ეთიკის ნორმებს სულ ცოტათი მაინც უნდა იცავდნენ. სამწუხაროდ, ზოგ ადგილებში ჩემს წინააღმდეგ საგანგებოდ აღვივებენ ცეცხლს და ამის გამო რამდენიმე სტადიონზე მისტვინეს კიდეც. ეს ცუდია და მწყინს.

— და თქვენ მაინც წამოაყენებთ კანდიდატურას. რატომ?

— საქმე ჯერ არ დამიმთავრებია და იმიტომ. საკუთარ თავს პირობა დავუდე, რომ თუ ჯანმრთელად ვიქნები, რაც დავიწყე, დავასრულებ. სწორედ ამიტომ წამოვაყენებ ერთი წლის შემდეგ ციურიხში საკუთარ კანდიდატურას. ფედერაციები ვერ გამიგებენ სისუსტის და თხელკანიანობის გამო საქმეს რომ ჩამოვცილდე. დიდი ამოცანები მელის.

— კერძოდ?

— სამხრეთ აფრიკაში მსოფლიოს ჩემპიონატის მოწყობა უდიდესი ამოცანაა. ეს იქნება აფრიკის კონტინენტზე პირველი მუნდიალი. წვრილმანები მოთმინებიდან ვერ გამომიყვანს. წინააღმდეგობის გაწევა ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში ვისწავლე. ფეხბურთმა ბევრი რამ მომცა და მასთან განშორებისთვის ჯერ ნამდვილად არ ვარ მზად. 2010 წელს სამხრეთ აფიკის მუნდიალი რომ დასრულდება ხმამაღლა ვიტყვი: საქმე გაკეთებულია, კარგად ბრძანდებოდეთ.

— აფრიკისთვის პროექტები უკვე გაქვთ?

— გერმანიაში, მსოფლიოს პირველობის დღეებში, დიდი კამპანიები და პროექტების განხილვები გაიმართება. ერთი ასეთთაგანია „სოს-ბავშვთა სოფლები", მეორეა შიდსის საწინააღმდეგო პროექტი. სამხრეთ აფრიკაში მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარება მთელი კონტინენტისთვის დიდი შანსია. გვინდა აფრიკას უპირველეს ყოვლისა მედიცინის საკითხებში დავეხმაროთ და თითოეული, ვინც იქითკენ მიმავალი თვითმფრინავის ბილეთს იყიდის, ჩათვალეთ, რომ ამ საქმეში თავის წვლილის შეიტანს.

— ახლანდელი ჩემპიონატის დაწყების წინ კი იტალია „კალჩო-გეიტმა" შეიპყრო. ასეთივე სკანდალი იყო რამდენიმე თვის წინ გერმანიაშიც. ფეხბურთი ავადაა?

— ფეხბურთს საკუთარი პოპულარობა უშლის ხელს. ამ თამაშით მთელს მსოფლიოში 250 მილიონი ადამიანია დაკავებული და მათ ოჯახის წევრებიც რომ მიამატოთ, საფეხბურთო ცხოვრებაში მილიარდი ადამიანი გამოვა ჩართული. სამწუხაროდ მათთან ერთად არიან სხვა წრეებიც, რომლებიც ფეხბურთის ასეთი პოპულარობიდან გამორჩენას მოელიან. მათზე ფიფა პასუხისმგებლობას ვერ იკისრებს. ამასწინათ მომივიდა წერილი, რომელშიც ეწერა, რომ გერმანიაში პროსტიტუცია იზრდება და ამის საწინააღმდეგოდ ზომებია მისაღები. გამაგებინეთ, სადმე ხომ უნდა იყოს საზღვარი? ჩვენ პასუხს სპორტზე ვაგებთ, ასე ვთქვათ, პროგრამული მხარე ჩვენზეა, გერმანიამ კი, როგორც ორგანიზატორმა დანარჩენ სფეროებს თავად მიხედოს.

— რას ელით ამ ჩემპიონატისგან?

— მინდა, ამ დღეებში მსოფლიო ყველა ჯურის ბოროტებისგან იყოს დაცული. მინდა, დადებითმა ემოციამ დაამარცხოს უარყოფითი და სხვადასხვა სფეროებზე გაინაწილდეს. ფეხბურთი კატალიზატორი უნდა გახდეს.

— 9 ივნისიდან ყველაფერი საათის მექანიზმივით უნდა ამუშავდეს. თქვენ რას გააკეთებთ?

— ბერლინიდან თითო გუნდს თითოჯერ მაინც ჩამოვუვლი და რა საკვირველია რაც შეიძლება ბევრ თამაშს დავესწრები.

— და 9 ივლისს ვის მიესალმებით?

— ნახევარფინალების გამარჯვებულებს.

# საარჩევნო ერიქსონი



**მადრიდის** „რეალის" პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი არტურო ბალდასანო ამტკიცებს, რომ არჩევნებში თუ გაიმარჯვებს, „სამეფო კლუბის" ახალი მწვრთნელი სვენ გორან ერიქსონი გახდება. მოგეხსენებათ, მუნდიალის მერე შვედი ინგლისის ნაკრებს დატოვებს და ახალ სამსახურზე იფიქრებს.

„ჩემი წარმომადგენლები უკვე ელაპარაკნენ ერიქსონს და მან განაცხადა, რომ თუ მე გავიმარჯვებ, „რეალში" მოვა. იგი ძლიერი მწვრთნელია, სწორედ იმ თვისებებით, რომლებიც ახლა ჩვენს კლუბს სჭირდება" — თქვა ბალდასანომ.

ესპანური პრესის ცნობით, ბალდასანო 2 ივლისის არჩევნებში აუტსაიდერად ითვლება. მიუხედავად იმისა, რომ ერიქსონის გარდა „რეალში" არსენალელი ხოსე ანტონიო რეიესისა და ბეტისელი ხოაკინის მოყვანის პირობას დებს. შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტობის ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატი რამონ კალდერონი ელექტორატის მოხიბვლას იმით ცდილობს, რომ „სამეფო გუნდის" მწვრთნელად ფაბიო კაპელოს მოყვანას ჰპირდება.

**ძოძი ძანდელაძი**



მარკო როდრიგესი და კრისტოფერ ლი

**მსოფლიოს** ჩემპიონატზე ინგლისის ნაკრების პირველ მატჩს დრაკულა იმსაჯებს.

ვინ?

ვინ და 35 წლის მარკო როდრიგესი, რომსელსაც მალე ნახავთ და თუ ფილმი „დრაკულაც" ანუ მსახიობი კრისტოფერ ლი და მისი გრიმიც გინახავთ, ყველაფერი გასაგები გახდება.

და, რა კაცია როდრიგესი?

# დრაკულა იმსაჯებს

მექსიკელია, ღრმად მორწმუნე და მკაცრი — სეზონის ბოლო 15 თამაშში 53 ყვითელი და 12 წითელი ააფრიალა, რის გამოც მექსიკური ფეხბურთის ბოსებმა ქვეყნის თასის ფინალი არ ამსაჯეს. ფეხბურთელები ჩივიან, რომ როდრიგესს საშინელი თვისება აქვს, ბარათს პირდაპირ სახესთან უფრიალებს და ამით ლამისაა ჩხუბები გამოიწვიოს. აქა-იქ, მექსიკურ პრესაში ეწერა, რომ ასეთი გიჟი მხოლოდ სამოყვარულო ლიგაში უნდა მუშაობდეს.

დრაკულა მუნდიალზე იმიტომ მოხვდა, რომ გვატემალელი კარლოს ბატრესი დაშავდა.

„რაც უნდათ ის თქვან, მე გული ღვთისთვის მაქვს ღია და ის მშველის" — ამბობს ამ ყველაფერზე როდრიგესი, რომელიც მუნდიალის შემდეგ ობოლ და მიუსაფარ ბავშვთა სახლს ხსნის და მის მიხედვით შექმნილ მულტფილმის გმირსაც წარადგენს.

**ბაბუნა ძედია**

# დამწყები

## ბრაიტნერი მთელი ღამე სვამდა, მეორე დღეს კი მგელივით დაძრწოდა

*1990 წლის მუნდიალის დასრულების შემდეგ, ფიფას ტექნიკური კომისიის კონგრესზე, მაშინდელ ჩემპიონი გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა ფრანც ბეკენბაუერმა, ისაუბრა თუ როგორ ემზადებოდა მისი გუნდი, მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატისთვის. „კაიზერმა" განსაკუთრებული ყურადღება ტურნირის პირველ მატჩზე გაამახვილა. ბეკენბაუერის თქმით, გერმანიის ნაკრებს მუნდიალებზე სასტარტო თამაში ყოველთვის უჭირდა. „იუგოსლავიასთან მატჩისთვის განსაკუთრებით ვემზადებოდით. საჭირო იყო მსოფლიოს ჩემპიონატი თავიდანვე დამაჯერებლად დაგვეწყო" — აღნიშნა „კაიზერმა" კონგრესზე. გერმანელები მართლა შესანიშნავად მოემზადნენ და იუგოსლავიის ძლიერი გუნდი 1990-ს მუნდიალის პირველ ჯახში 4:1 გაანადგურეს. ჩემპიონატზე დანარჩენი თამაშების უმრავლესობა გერმანიამ უმაღლეს დონეზე ჩაატარა და მსოფლიო თასიც ბეკენბაუერის ბიჭებს დარჩათ...*



ფრიც ვალტერი და ფერენც პუშკაში

მას შემდეგ 16 წელი გავიდა. 2006 წლის მუნდიალზე გერმანიის პირველი ჯახი ტურნირის გახსნითი მატჩი იქნება კოსტა რიკასთან. ცხადია, მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელ გუნდს უდიდესი ფსიქოლოგიური წნეხის დაძლევა მოუწევს, პირველი თამაშის შედეგზე ბევრი რამაა დამოკიდებული — თავად ფეხბურთელთა და გულშემატკივართა განწყობა, მედიის ექო და მრავალი სხვა. კოსტა რიკასთან პაემნამდე ორიოდე დღე დარჩა, ჩვენ კი მსოფლიოს ჩემპიონატებზე ნაციონალმანშაფტის ყველა პირველ მატჩს გთავაზობთ.

### 1934. იტალია
### გერმანია – ბელგია 5:2

იმ წელს სანაკრებო სიტუაცია დღევანდელს წააგავდა — მწვრთნელმა ოტო ნერცმა ძალიან ახალგაზრდა შემადგენლობა წაიყვანა მსოფლიო პირველობაზე. მოთამაშეთა საშუალო ასაკი 24 წელს არ აღემატებოდა. ნერცი პრესამ სასტიკად გააკრიტიკა, თუმცა გერმანელებს თავი მაინც არ შეურცხვენიათ. ნაციონალმანშაფტმა ჩემპიონატის პირველ თამაშში ბელგიის ძლიერ გუნდს მოუგო და შინ გაისტუმრა. ბელგიელებს ჯადოსნური ცენტრფორვარდი ვოორჰოფი ჰყავდათ, თუმცა გერმანელთა ვარსკვლავებმა, ოტო ზიფლინგმა და კონენმა მაინც თავისი გაიტანეს... ოტო ნერცის გუნდმა საბოლოოდ 1934-ში მესამე ადგილი აიღო და იმდროინდელ მედიაში შესაბამისი შეფასებაც დაიმსახურა, რაც ყველა პერიოდის ნაკრებზეც შეგვიძლია ვთქვათ — „მათ საერთოდ არაფრის და არავისი არ ეშინიათ" — წერდნენ გაზეთები...

### 1938. საფრანგეთი
### გერმანია – შვეიცარია 1:1

რიგით მეორე მსოფლიოს ჩემპიონატზე „ფატერლანდის (ანუ მამასამშობლოს) საამაყო ბიჭებს" (ჰიტლერმა შეარქვა თავის ნაკრებს ასე) გამარჯვების მცირე შანსი ჰქონდათ. არადა, თითქოს ყველაფერი პირიქით უნდა ყოფილიყო — იმ პერიოდში ნაცისტურმა გერმანიამ ავსტრია შეიერთა და მესამე რაიხის მთავარჩინოსანთა ბრძანებით, ნაციონალმანშაფტს საუკეთესო ავსტრიელი ფეხბურთელები „მიამაგრეს" (მატიას ცინდელარის გარდა, ავსტრიელთა საუკეთესო კაცი სავარაუდოდ გესტაპომ სასიკვდილოდ მოწამლა). ამგვარად შეკოწიწებულ ნაკრებში ერთიანობა არ იყო და პირველი მატჩი შვეიცარიასთან ოდენ 1:1 დასრულდა. მერე, გადათამაშებაში ალპელებთან საერთოდ 2:4 წააგეს და ჩემპიონატსაც უსახელოდ დაემშვიდობნენ...

### 1954. შვეიცარია
### გფრ – თურქეთი 4:1

ტურნირი გერმანელებისთვის მოულოდნელად დაიწყო — თურქმა სუათმა ერთდროულად მეტოქის ორი მცველი გააბრიყვა და ტიპეკის კარში გოლი შეაგდო... ჰერბერგერის შეგირდებმა შესვენებამდე მარტო ანგარიშის გათანაბრებაღა მოახერხეს. თუმცა, მეორე ტაიმში გერმანიამ იძალა და 3 გოლი გაიტანა...

დანარჩენი ცნობილია — ჰერბერგერის ნაკრები ფინალამდე გავიდა და იქ ფერენც პუშკაშის ჯადოქრული უნგრეთი დაამარცხა ანგარიშით 3:2...

### 1958. შვედეთი
### გფრ – არგენტინა 3:1

არც შვედეთის მუნდიალზე გამოვიდა დალხინებული სტარტი. არგენტინელთა კორბატამ გაიტანა პირველი გოლი გერმანელთა კარში. საბოლოოდ მატჩი ალემანებმა მოიგეს, თუმცა ოთხი წლის წინანდელი ნაკრებისგან მარტო აჩრდილი იყო დარჩენილი. გენიალური ფრიც ვალტერიც უკვე „ბებერი" გახლდათ, 38 წლისა... გფრ-მ მსოფლიოს მეხუთე ჩემპიონატზე მეოთხე ადგილი დაიკავა.

### 1962. ჩილე
### გფრ – იტალია 0:0

ჩილეში სასტარტო ჯახი მოსაწყენი გახლდათ. გერმანელებმაც და იტალიელებმაც ძირითადი ყურადღება დაცვას დაუთმეს. მოხუცი ჰერბერგერის მოწაფეები ჯგუფიდან კი გავიდნენ, მაგრამ მეოთხედფინალში შეკულარაცის, შიშკიჩის და ერკოვიჩის შესანიშავი იუგოსლავიასთან წააგეს. ეს ზეპ ჰერბერგერის ბოლო გამოსვლა იყო მუნდიალზე, ლეგენდარული მწვრთნელი თანაშემწემ, ჰელმუტ შიონმა შეცვალა.

### 1966. ინგლისი
### გფრ – შვეიცარია 5:0

ერთ-ერთი იშვიათი შემთხვევა, როცა გერმანიამ სადებიუტო მატჩი ბრწყინვალედ ჩაატარა. შესანიშნავად ითამაშეს 20 წლის ფრანც ბეკენბაუერმა და 22 წლის ვოლფგანგ ოვერატმა. ალემანებმა შვეიცარია მიწასთან გაასწორეს, შემდეგ წარმატებული ბრძოლის შედეგად ტურნირის ფინალში გავიდნენ და მასპინძელ ინგლისთან დამარცხდნენ...

### 1970. მექსიკა
### გფრ – მაროკო 2:1

მექსიკურ ჯოჯოხეთურ სიცხეს და მაროკოს უცნობ გუნდს ნაკრებმა ალღო ნაკლებად აუღო და გფრ-ც ტურნირის სადებიუტო თამაშის პირველ ტაიმში გატანილი გოლით დაისაჯა. შესვენების შემდეგ ვეტერანმა უვე ზეელერმა გაიბრწყინა და ევროპელებმა აფრიკელები ბეჭებზე გააკრეს. საერთოდ, ამ ჩემპიონატზე გერმანიამ ბრწყინვალედ იბურთავა და მესამე ადგილზე გავიდა. იტალიასთან 3:4 წაგებული ნახევარფინალი კი სამუდამოდ შევიდა მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში.

### 1974. გერმანია.
### გფრ – ჩილე 1:0

სამხრეთამერიკელებთან ჰელმუტ შიონის ნაკრებმა ძალები დაზოგა და სტუმრებს, ასე ვთქვათ, „ნახევარი ძალით" ეთამაშა. მატჩი სანახაობრივად უშნო იყო და დასავლეთგერმანულმა გაზეთებმაც განგაში ატეხეს — ასე მუნდიალს ვერ მოვიგებთო. ჩილესთან შეხვედრაში ბრაიტნერმა შეაგდო გოლი, ხოლო მედიის მიერ გალანძღულმა გფრ-მ შინაურ ჩემპიონატზე ოქროს მედლები მაინც მოიგო... 1974-ში სხვა გერმანული გუნდი, კომუნისტური აღმოსავლეთ გერმანიაც მონაწილეობდა. გდრ-მ პირველი მატჩი ავსტრალიასთან მოიგო 2:0.

### 1978. არგენტინა
### გფრ – პოლონეთი 0:0

არავის გარისკვა არ უნდოდაო — წერდნენ ამ თამაშის შემდეგ გაზეთები. ორივე გუნდი დაცვას ჩააფრინდა და უგოლო ფრეც დაიმსახურეს. გფრ პატაგონიურ მუნდიალზე ოთხეულში ვერ მოხვდა, ხოლო ღირსეული დამრიგებელი ჰელმუტ შიონი ასისტენტით, იუპ დერვალით შეცვალეს...

### 1982. ესპანეთი
### გფრ – ალჟირი 1:2

ალემანთა ყველაზე დიდი ფიასკო მსოფლიოს ჩემპიონატის სასტარტო მატჩებში. მედია დერვალის ბიჭებს ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე გესლავდა — გუნდში დისციპლინა არ არსებობს და ესპანეთში თავი მოგვეჭრებაო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ჟურნალისტებმა ნაკრების საწვრთნელ ბაზას „შლუკზე" („ყლუპის ტბა") შეარქვეს (ფეხბურთელთა ლოთობის გამო). მთავარი შფოთისთავი ეროვნულ გუნდში დაბრუნებული ბრაიტნერი გახლდათ — მთელი ღამე სვამდა, მეორე დღეს კი ვითომც არაფერიო, მგელივით დარბოდა მოედანზე. დანარჩენს ახალგაზრდა მგლებს ბრაიტნერის ჯანი არ აღმოაჩნდათ და ალჟირთან სენსაციურად დამარცხდნენ. დერვალის გუნდმა 82-ში ფინალში გააღწია და იტალიასთან წააგო.

### 1986. მექსიკა
### გფრ – ურუგვაი 1:1

კიდევ ერთი სასტარტო საშინელება. კლაუს ალოფსმა ნაგვიანები გოლით თავისიანები ფიასკოს გადაარჩინა. კიდევ კარგი, რომ ლეგანდარული მეკარე შუმახერი იყო მოწოდების სიმაღლეზე, თორემ ურუგვაელები სამ ქულას დამსახურებულად ჩაიჯიბავდნენ.

სათამაშო დისციპლინის, ურყევი ნებისყოფის და ფეხბურთელთა ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე გერმანიამ ვერცხლის მედლები მოიგო. მუნდიალის ფინალში გფრ ფეხბურთის მეფე მარადონამ და პატაგონიელებმა დაამარცხეს.

### 1990. იტალია
### გფრ – იუგოსლავია 4:1

ჩემპიონატისწინა სამზადისში ბეკენბაუერმა ყველა ადრინდელი შეცდომა გაითვალისწინა. გუნდში ერთსულოვნება სუფევდა და შემადგენლობაც იდეალურად სწორად იყო შერჩეული. იუგოსლავიასთან გოლები მათეუსმა, კლინსმანმა და ფიოლერმა გაიტანეს. იოზიჩმა ერთი ბურთი გაქვითა, მაგრამ ულმობელი სიზუსტით მომუშავე გერმანული მანქანის გაჩერება შეუძლებელი გახლდათ. შესანიშნავად თამაშობდნენ შტეფან როიტერი, რუდი ფიოლერი, ანდრეას ბრემე... გფრ 1990-ში ბრწყინვალე გახლდათ და მსოფლიოს ჩემპიონობითაც დაჯილდოვდა.

### 1994. აშშ
### გერმანია – ბოლივია 1:0

მათეუსი, ზამერი, ეფენბერგი, ჰესლერი, მიოლერი, ბასლერი, კლინსმანი, ბრემე, რიდლე — ძალზე იშვიათია მუნდიალებზე რომელიმე ნაკრებმა ვარსკვლავთა ასეთი სიჭარბით რომ დაიტრაბახოს. თუმცა ნაციონალმანშაფტის მწვრთნელმა ბერტი ფოგტსმა ამ ჩაუქი ხალხიდან ერთ მუშტად შეკრული გუნდის შექმნა ვერ შეძლო... გერმანელებმა ჩემპიონატის პირველ თამაშში ბოლივია ძლივს დაამარცხეს, ხოლო მუნდიალს მეოთხედფინალში ბულგარეთთან გამოემშვიდობნენ.

### 1998. საფრანგეთი
### გერმანია – აშშ 2:0

ევროპის მაშინდელმა მოქმედმა ჩემპიონებმა მართალია იანკებმა დაამარცხეს, მაგრამ უძლეველის შთაბეჭდილება არც თავად დაუტოვებიათ. გუნდმა მეოთხედფინალს მიაღწია და მსოფლიო ჩემპიონატის შესანიშნავ ახალბედასთან, ხორვატიასთან წააგო. ჩემპიონატიდან ცოტა ხნის შემდეგ ბერტი ფოგტსმა პოსტი დატოვა.

### 2002. ს. კორეა-იაპონია
### გერმანია – საუდეთი 8:0

დებიუტში ყველაზე დიდი საგოლე ფეიერვერკი. საწყალ არაბებს ალემანელებმა კარი ბოლომდე ამოუვსეს. თუმცა, ასეთი ფანტასტიკური გოლთაცვენა მერე აღარ გაგრძელებულა, დარჩენილ 6 თამაშში ნაციონალმანშაფტმა ოდენ 6 შეაგდო. რუდი ფიოლერის ნაკრები ფინალში ბრაზილიასთან დამარცხდა 0:2.

**ლადო ხომერიკი**

# კეჟმანმა ყველა ბილეთი გაყიდა

**მატეა კეჟმანის სერბეთმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ესპანეთს გადაასწრო და პირველ ადგილზე გავიდა. კასტილიელებს სერბებმა სწორედ კეჟმანის გოლის წყალობით აჯობეს — „ატლეტიკოს" ფორვარდმა შინაურ „ვისენტე კალდერონზე" იკერ კასალიასს გაუტანა, ანგარიში გაათანაბრა და ესპანეთი პლეი ოფში გაგზავნა სლოვენიასთან... 27 წლის მატეა კეჟმანი სერბეთ-ჩერნიგორიის უმთავრესი მეომარი იქნება მსოფლიოს ჩემპიონატზე. ბალკანელ ფორვარდს FIFA.COM-ის ჟურნალისტი გაესაუბრა**



— მატეა, დარწმუნებული ვარ, ზაფხულში გულშემატკივართა სიმცირე არ შეგაწუხებთ, რადგანაც გერმანიაში ბევრი თქვენი თანამემამულე ცხოვრობს...

— ქომაგთა სიმრავლეს, მართლაც, ველოდებით. უამრავი ადამიანი მირეკავს და მუნდიალის ბილეთებს მთხოვს. სამწუხაროდ, ვერავის ველარ ვეხმარები, რადგან ყველა ბილეთი უკვე ადრეულად დაიტაცეს. გერმანული სტადიონები, სადაც ვითამაშებთ, სერბეთ-ჩერნიგორიის გულშემატკივრებით იქნება გადაჭედილი...

— სერბეთის ეროვნული გუნდის ძლიერ მხარეებზე ვისაუბროთ...

— უპირველეს ყოვლისა, უნდა ალვნიშნო, რომ შესანიშნავი გუნდი გვყავს, რაც, ძირითადად, მწვრთნელის, ილია პეტკოვიჩის, დამსახურებაა. ფეხბურთელთა შორის სრული თანხმობაა, მეგობრულად განწყობილ გუნდს კი, მოგეხსენებათ, იოლად ვერ დაამარცხებ... ბიჭები ძირითად ნაკრებში ახალგაზრდულიდან მოვიდნენ და მეგობრული ატმოსფეროც თან მოიტანეს. გამოცდილებაც თავის საქმეს გააკეთებს. ყველამ იცის, რომ სერბეთს ძლიერი ვეტერანები ჰყავს... ფეხბურთელები ევროპის საუკეთესო ლიგებში თამაშობენ. მაგალითად, სტანკოვიჩი — „მილანში", ვიდიჩი — „მანჩესტერში", მე — მადრიდის „ატლეტიკოში". მთელი ქვეყანა მხარს ერთსულოვნად გვიჭერს და ჩვენც მათ იმედებს არ გავაწბილებთ.

— გერმანია 2006-ზე სადებიუტო მატჩში ჰოლანდიის ნაკრებს ხვდებით. ადრე პსვ-ში თამაშობდით, ნარინჯისფერთა ეროვნულ გუნდშიც მეგობრები გყავთ და, ალბათ, მათთან მოედანზე შეხვედრას მოუთმენლად ელით...

— ჩემთვის ძალიან ემოციური მატჩი იქნება, რადგანაც ფეხბურთელად ჰოლანდიაში ჩამოვყალიბდი. იქაურ ლიგაში თამაში 19 წლისამ დავიწყე და 4 ჯადოსნური სეზონიც გავატარე. ბევრი რეკორდი დავამხე და ჯილდოებიც ბლომად მქონდა. ჰოლანდიის ნაკრებში, მართლაც, ჩემი მეგობრები ბურთაობენ და მათთან ძალის მოსინჯვა შესანიშნავი რამ იქნება... ჩვენი მომავალი მეტოქის სუსტი წერტილებიც ვიცი, ამიტომაც შეიძლება, ნაკრების მწვრთნელსაც კი ვურჩიო, როგორ მოიქცეს. ჰოლანდიელებს თავიანთი ნაკრების იმედი აქვთ, ზოგიერთი ფანტასტიკური მობურთალიც ჰყავთ, მაგრამ ჩემგან გოლს მაინც ვერ ასცდებიან.

— ძველ მეგობრებს ხშირად ხვდებით?

— დიახ, რამდენიმე მათგანთან კავშირს ვინარჩუნებ. მაგალითად, მარკ ვან ბომელთან და კიდევ ორსამ ეინდჰოვენელთან. დროგბასაც (კეჟმანის ძველი თანაგუნდელი „ჩელსიში„") ველაპარაკე, კოტ დივუარისა და სერბეთის მომავალი ჯახის შესახებ. არგენტინელები კი — მაქსი როდრიგესი და ლეო ფრანკო — შინ მყავს „ატლეტიკოში" და ყოველდღე ვკამათობდით, სერბეთი აჯობებს თუ მათი ნაკრები. რა თქმა უნდა, გამიხარდება ყველას ერთად რომ ვნახავ მუნდიალზე, მაგრამ მოგებით მე უნდა მოვიგო.

— შესარჩევ ეტაპზე მხოლოდ ერთი გოლი გაუშვით. როგორ აფასებთ იმ ფაქტს, რომ სპეციალისტები სერბეთის ნაკრების უმთავრეს ძალად შეუვალი დაცვის ხაზს მიიჩნევენ?

— დაცვა ბრწყინვალე გვყავს, მაგრამ ასევე უკანახაზელებსაც შეუძლიათ, თქვან, რომ მთელი გუნდი თავს კარგად იცავს. პირველი დაცვითი ზღუდე თავდასხმიდან იწყება, შემდეგ ნახევარდაცვა მოდის და უკანახაზელებით მთავრდება. შესარჩევებში სერბეთს ცოტა გაუტანეს, ჩვენ კი 16 გოლი შევაგდეთ, რაც ნაკრების კონტრშეტევებზე კარგ თამაშს ამტკიცებს. დაცვას კი ბოლომდე ვენდობით, სიამოვნებით გამოვდივარ მინდორზე, როცა ჩემს უკან ასეთი დონის ფეხბურთელები მეგულებიან.

— კენჭისყრამ სერბეთი და ჩერნიგორია ჩემპიონატის უძნელეს ჯგუფში მოახვედრა. მიუხედავად ამისა, იმედი გაქვთ, რომ ტურნირის მომდევნო ეტაპზე გახვალთ?

— ამაში დარწმუნებული ვარ, ჩემი აზრით, ჯგუფს გამოკვეთილი ფავორიტები არ ჰყავს. მერვედფინალში გასვლა ყველა გუნდს შეუძლია. საინტერესოა, რა მოხდება, თუმცა მე სერბეთის გამარჯვებისა მჯერა. შესარჩევ ჯგუფში ესპანეთი უკან ჩამოვიტოვეთ და რახან ასეთ ძლიერ ნაკრებს ვაჯობეთ, მსოფლიოს ჩემპიონატზე თავი არ უნდა შევირცხვინოთ. პირველი მატჩი გადამწყვეტი იქნება. მარცხს თუ ავიცილებთ თავიდან, ჯგუფიდან გასვლის შანსებსაც შევინარჩუნებთ. აი, მერვედფინალებიდან უკვე ყველაფერია მოსალოდნელი — ვინ იფიქრებდა, რომ 2004-ში საბერძნეთი გახდებოდა ევროპის ჩემპიონი? ამიტომაც ვოცნებობ 9 ივლისის ბერლინის ფინალზე. ფეხბურთს სიურპრიზები უყვარს და რატომ არ უნდა მოგვევლინოს სერბეთ-ჩერნიგორია ამგვარ სიურპრიზად?

— რა თქმა უნდა, თქვენ სერბეთის გამარჯვებისა უნდა გჯეროდეთ, მაგრამ მუნდიალის მოგების უმთავრეს ფავორიტად რომელ ნაკრებს მიიჩნევთ?

— რასაკვირველია, ბრაზილიას. პარეირას გუნდმა ფეხბურთელები სამ სხვა ნაკრებს რომ უწილადოს, სამივე ნახევარფინალს მიაღწევს. ბრაზილიის ნაკრები ფენომენალური და ბრწყინვალეა.

— როგორ ფიქრობთ, გერმანიაში სანაკრებო დონეზე ახალგაზრდა ვარსკვლავები გაბრწყინდებიან? მაგალითად, ლეო მესი...

— მესი უეჭველად და რობინიოც ამასთანავე. არიენ რობენიც მსოფლიოს ფეხბურთის საოცრება უნდა გახდეს. ისინი ახალგაზდებიდან, ხოლო რონალდინიოსა და ტიერი ანრიზე არაფერს ვამბობ. როცა მსოფლიოს საუკეთესოებს ახსენებენ, მარტო ეს ორი წარმომიდგება თვალწინ.

# მამას შვილი გააგდებინეს



**სერბეთის** ნაკრების თავკაცი ილია პეტკოვიჩის შვილი, დუშანი, მსოფლიოს ჩემპიონატზე არ ითამაშებს. მოგეხსენებათ, იგი განაცხადში დაშავებული მირკო ვუჩინიჩის ნაცვლად მოხვდა, თუმცა პრესამ ერთი ამბავი ატეხა, 31 წლის მცველი ნაკრებში მხოლოდ იმიტომ გამოიძახეს, რომ მთავარი მწვრთნელის ვაჟიაო.

„იგი ნაკრებთან ერთად გერმანიაში არ გაემგზავრა, პრესის ზეწოლას და მითქმა-მოთქმას ვერ გაუძლო. დუშანს არ სურს, თანაგუნდელებს და მწვრთნელს პრობლემები შეუქმნას და ნაკრებში საბრძოლო სულისკვეთება გაანელოს" — თქვა სერბთა პრესატაშემ ალეკსანდარ ბოშკოვიჩმა.

ვინ შეავსებს სერბთა რიგებში ერთ ვაკანტურ ადგილს, ჯერ უცნობია. ნაკრების ვეტერან თავდამსხმელს და კაპიტან სავო მილოშევიჩს კი სჯერა, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, თანამემამულეებთან ერთად სულ მცირე, მერვედფინალში გააღწევს.

„ჩვენი განწყობა უაღრესად საბრძოლოა და ამ ატმოსფეროს ვერაფერი დაარღვევს. თითოეული ჩვენგანი მთელი გულით ითამაშებს და ბოლომდე დაიხარჯება. ასე რომ, დარწმუნებულნი ვართ, მუნდიალზე წარმატებით თამაშს შევძლებთ" — აღნიშნა მილოშევიჩმა.

**გიორგი ქაქაბაძე**



# ვიქტორი იყო, ვიქტორი იქნება

**ესპანურ** „სარაგოსას" ძველი მწვრთნელი უბრუნდება — ვიქტორ ფერნანდესი არაგონულ კლუბს მომავალი ოთხი სეზონის განმავლობაში უხელმძღვანელებს.

„ცხოვრებას მუდამ ოპტიმისტურად ვუყურებ და „სარაგოსაც" აუცილებლად დიდსაფეხბურთო ევროპულ ელიტაში უნდა დავაბრუნო" — განუცხადა ფერნანდესმა მედიის წარმომადგენლებს.

„ჩემს ძველ გუნდში დაბრუნება მესიამოვნა. თან კლუბის ახალმა მფლობელებმაც იმედისმომცემი პროექტი შემომთავაზეს" — ამბობს „ლა რომარედას" გუნდის თავკაცი.

ფერნანდესმა და მისმა „სარაგოსამ" ოთხმოცდაათიანი წლების შუაგულში შეაზანზარეს ევროპა, როცა თასების თასის ფინალში 1995 წელს ლონდონის „არსენალი" დაამარცხეს.

ვიქტორი ორ სეზონს „ბეტისში" მწვრთნელობდა, ხოლო 2004-ის აგვისტოდან პორტუგალიური „პორტუს" დამრიგებელი იყო, თუმც 2005 წლის თებერვალში ლუზიტანური კლუბის თავკაცობას იქაურ სუპერლიგაში მიღწეული ცუდი შედეგების გამო ჩამოაშორეს.

მას შემდეგ, გუშინდლამდე, ვიქტორ ფერნანდესი არც ერთ გუნდს არ წვრთნიდა.

ფერნანდესის წინამორბედი არაგონელთა კლუბში ასევე ვიქტორი, ოღონდ მუნიოსი იყო. მუნიოსმა 2005-06-ის სეზონში „სარაგოსას" ესპანური კოპა დელ რეი მოაპოვებინა.

**ლადო ხომერიკი**

# ძამბროტა ბარძაყმა დაამუხრუჭა



**იტალიელი** მარცხენა მცველი, ტურინის „იუვენტუსის" ვარსკვლავი ჯანლუკა ძამბროტა ორშაბათს განასთან ვერ ითამაშებს. მან ორი კვირის წინ ვარჯიშზე ბარძაყის კუნთი გაიჭიმა და ჯერ არ გამოჯანმრთელებულა.

კვირას, უკრაინასთან 0:0 დასრულებულ შეხვედრაში კუნთი იტკინა ალესანდრო ნესტამაც. ეს წყვილი ფლორენციაში სკანირებას ჩაიტარებს, დღეს, ოთხშაბათს კი გუნდი დუისბურგისკენ აიღებს გეზს.

„ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ რათა ნესტა რაც შეიძლება მალე გამოვაჯანსაღოთ — თქვა გუნდის ექიმმა ენრიკო კასტელაციმ — ძამბროტა კი მარჩელო ლიპის განკარგულებაშია და მეორე თამაშისთვის იქნება".

ძამბროტას ადგილს, ალბათ, პალერმოელი ფაბიო გროსო დაიკავებს, ნესტას კი, თუ პირველი თამაშისთვის ვერ გამოჯანმრთელდა, მარკო მატერაცი შეცვლის.



ლუის სესარ მენოტი



კარლოს ბილარდო



ხოსე პეკერმანი

# მემარცხენე ცხვირა და მემარჯვენე ჩხირა

## შემიწვით ხორცი და ჩართეთ ხულიო

### ბილარდო ბიჭებს ნემსებს უკეთებდა

**კარლოს ბილარდო,** არგენტინელი მწვრთნელი, რომელზეც ამბობენ, რომ ერთხელ, არგენტინისა და ბრაზილიის ნაკრებების შეხვედრაში მეტოქეს მოსასმელად მოწამლული წყალი მიაწოდა, მეორედ კი თავის ფეხბურთელს მოწინააღმდეგისთვის შესასუნთქებლად რაღაც გაატანა მოედანზე.

ლუის სესარ მენოტი, არგენტინელი მწვრთნელი, რომლის ლექსიკონში ძირითადი სიტყვები იდეა და ტაქტიკა გახლდათ. კაცი, რომელსაც მილიონების ოცნებათა მთარგმნელი შეარქვეს.

ბილარდომ არგენტინა 1986 წელს გახადა მსოფლიოს ჩემპიონი, მენოტიმ, 1978-ში. პირველს მეტსახელად ცხვირას ეძახდნენ, მეორეს გაჩხინკულს, თუ გნებავთ ჩხირას. ერთი სიტყვით, ერთად სცენაზე კარგი კომედიური დუეტი გამოუვიდოდათ — ცხვირა და ჩხირა, მაგრამ ვაგლახ, მათ 1975 წელს რომ იჩხუბეს, მას მერე გაბუტულები არიან. 31 წლის წინ ბილარდომ მენოტი გააკრიტიკა და მენოტიმ ეს ვერ აიტანა.

2004 წელს, პერუში გამართული კოპა ამერიკას დღეებში მენოტიცა და ბილარდოც ტელეკომენტატორებად მუშაობდნენ და ერთმანეთს ქათინაური უთხრეს.

#### პოლიტიკური ფესვები

ეს ორი ადამიანი ყველაფერში განსხვავებულია. ბილარდოს მარტივად, შემწვარი ხორცი და ჩიპსი უყვარს, უსმენს ხულიო იგლესიასს და მემარჯვენეა, მენოტი კი ფრანგული სამზარეულოსკენ იხრება, თაყვანს სცემს ესპანელ მომღერალსა და კომპოზიტორ ხუან მანუელ სერატს და მემარცხენე პერონისტი გახლავთ. თუმცა ყველაზე მეტად, ეს ორი პატივცემული ადამიანი საფეხბურთო ფილოსოფიით განსხვავდება ერთმანეთისგან. მათ შორის იმდენად დიდი განსხვავებაა, რომ არგენტინა კარგა ხანს იყო დაყოფილი მენოტისტებად და ბილარდისტებად. ბილარდოს სტილს მკაცრ, უხეშობასთან მიახლოებულ დაცვაზე აგებულ კონტრშეტევას უწოდებდნენ, მენოტისას კი ფეარ პლეისა და შეტევას, ფანტაზიას.

ბილარდოს შესახებ ჯერ კიდევ მისი ფეხბურთელობის დროიდან იყო ცნობილი. როდესაც მომავალი მწვრთნელი „ესტუდიანტესის" ნახევარდაცვაში ჩამშლელად თამაშობდა, ამბობდნენ, რომ მას მოედანზე ნემსი გაქონდა მეტოქეებითვის საჩხვლეტად. „ჩხვლეტიამ" და მისმა გუნდმა 1968-1970 წლებში სამჯერ მოიგეს ლიბერტადორესის თასი.

#### მოწამლული წყალი

მწვრთნელობისას ბილარდომ ნემსი ჩააგო და ახალი მეთოდები მოიფიქრა. კერძოდ, არგენტინელ თავდამსხმელს, „ბოკა ხუნიორსის" მოთამაშეს ერნესტო მასტრანხელოს კარგად ახსოვს 1978 წლის შეხვედრა კოლუმბიურ „დეპორტივო" კალისთან.

„კალის რომელიღაც ფეხბურთელი მომეპარა და ცხვირზე ხელები მომაფარა — ყვება პარაგვაის 20 წლამდელთა ნაკრების თავკაცი მასტრანხელო — ცხელი რაღაცის მძაფრი სუნი მეცა. მაშინ „კალის" მწვრთნელი ბილარდო იყო."

თუმცა ამ ინციდენტზე გაცილებით დიდი გამოხმაურება მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატზე მომხდარ და ამ ცოტა ხნის წინ გახმაურებულ ამბავს ჰქონდა. საუბარია მუნდიალის მერვედფინალურ შეხვედრაზე არგენტინასა და ბრაზილიას შორის, როდესაც ბრაზილიელ ბრანკოს ერთ ერთმა არგენტინელმა პაუზის დროს წყალი მიაწოდა და მას მერე ის თავს ცუდად გრძნობდა. საიდუმლოს საკუთრივ ბილარდოს ინტერვიუდან აეხადა ფარდა, თუმცა სკანდალის შემდეგ მან განაცხადა, ჩემი სიტყვები ჟურნალისტმა კარგად ვერ გაიგო, სინამდვილეში სულ სხვა რაღაც ვთქვიო. ამ ამბავთან დაკავშირებით ბრაზილიის ნაკრების მაშინდელი მწვრთნელი სებასტიანო ლაზარონი გამოძიებას ითხოვდა და ამაში გასაკვირი არაფერია, თუმცა ბევრისთვის ბილარდოსთან დაკავშირებული ყველაზე დასამახსოვრებელი ცუდი ეპიზოდი 1990 წლის მუნდიალის ფინალს უკავშირდება. მაშინ, გერმანია და არგენტინა შეხვდნენ ერთმანეთს და მატჩის მსვლელობისას ორი არგენტინელი უხეშობისთვის მსაჯმა მოედნიდან გააძევა. სწორედ მათ ისტერიულ ქცევასა და ულამაზო პროტესტებს იხსენებენ დღემდე.

სხვათა შორის, ის ფინალი მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე ცუდ ფინალადაა აღიარებული. გერმანიამ 1:0 მოიგო.

#### სამხედრო თასი

სიგარეტის სიგარეტზე მწეველი მენოტი კი ბევრს არგენტინული ფეხბურთის ნათელ მხარედ დაამახსოვრდა.

1974 წელს, როდესაც ლუის სესარ მენოტი არგენტინის ნაკრების მწვრთნელი გახდა, ქვეყანაში ჯერ დემოკრატიული წყობა იყო, თუმცა 1976 წელს ხელისუფლება სამხედროებმა იგდეს ხელთ.

მენოტის ხელმძღვანელობით არგენტინა იმ სტილს დაუბრუნდა, რომელსაც 1960-იან წლებამდე მისდევდა — შეტევა, შეტევა, შეტევა. ქვეყნის საფეხბურთო პრიორიტეტად ნაკრები იქცა და არგენტინა მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან ძალად ჩამოყალიბდა.

ხოლო, რაც შეეხება ბოლო პერიოდს, აქ, სტილთა დაყოფა იმდენად შესამჩნევი აღარ იყო, რადგან ალფიო ბასილეც (1994), დანიელ პასარელაც (1998) და მარსელო ბიელსაც (2002) უფრო მენოტიზმის მიმდევრები იყვნენ.

რაც შეეხება არგენტინელთა ახლანდელ თავკაც ხოსე პეკერმანს, მან 2005 წელს სააგენტო „როიტერს" ასეთი ინტერვიუ მისცა:

„დღეს არგენტინელ ქომაგთა ბანაკებს შორის ძველებურად მწვავე დაპირისპირება აღარ არის. ისინი კარგ ფეხბურთს სცემენ პატივს და თავდადებული, სწრაფი გუნდები მოსწონთ. ეს ორი თვისება კი არგენტინული ფეხბურთის ნაწილია".

**პაპუნა ძიძია**



# არიგო იტალიას არიგებს: უკანებო, მიეხმარეთ წინებს!

**იტალიურ** და მსოფლიო ფეხბურთში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფიგურა, არიგო საკი, მიიჩნევს, რომ „სკუადრა აძურას" მუნდიალზე წარმატების მიღწევის დიდი შანსი აქვს. მისი აზრით, აპენინელები ჯგუფურ ეტაპს უპრობლემოდ დაძლევენ, ხოლო დანარჩენი ძირითადად მათ ფსიქოლოგიურ განწყობაზეა დამოკიდებული.

„ფეხბურთში ძალიან ხშირად მთავარი თავია და არა ფეხები. მოთამაშეების ფსიქოლოგიური მდგომარეობა და საბრძოლო სულისკვეთებაა გადამწყვეტი. ჩემი განწყობა ოპტიმისტურია, რადგან მარჩელო ლიპიმ ბრწყინვალედ იმუშავა და ძლიერი ნაკრები შეკრა. თანაც გამოჩნდნენ ახალგაზრდები, რომლებმაც დაგვანახეს, რომ ისეთი პროფესიონალების დონეზე შეუძლიათ თამაში, როგორებიც, ვთქვათ ფაბიო კანავარო, ფრანჩესკო ტოტი და ალესანდრო დელ პიერო არიან" — თქვა საკიმ.

მოგეხსენებათ, იტალიამ ბოლო ორი ამხანაგური მატჩი შვეიცარიასთან და უკრაინასთან ფრედ დაამთავრა. აპენინელებმა არცთუ დამაჯერებლად ითამაშეს, რასაც პრესისგან კრიტიკა მოჰყვა.

არიგო საკი: „დანამდვილებით ვერ გეტყვით, როგორ ფორმაში შევხვდებით მუნდიალს, მაგრამ მერწმუნეთ, ამ ამხანაგური თამაშებით მსჯელობა არ შეიძლება. ეს მოსამზადებელი შეხვედრები იყო და შედეგს მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, ნაკრები ყველა მატჩში ცდილობს, თამაში აკონტროლოს და სათანადოდ იხარჯება".

ტიფოზებს აღელვებთ ისიც, რომ ნაკრების ორი პლეიმეიკერი — დელ პიერო და ტოტი — არცთუ კარგ ფორმაშია, მაგრამ საკი ამ შემთხვევაშიც მშვიდადაა. მისი აზრით, გამოსავალი იმაშია, რომ თავდამსხმელებს უკანა ხაზის მოთამაშეებიც უნდა დაეხმარონ. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმატებაზე ფიქრი ძნელია.

„ტოტი და დელ პიერო ჩვენთვის მნიშვნელოვანი მოთამაშეები არიან, მაგრამ მათ თუ სხვებიც არ დაეხმარნენ, გაუჭირდებათ. იტალიური ფეხბურთის პრობლემა ხშირად სწორედ ის არის, რომ ლიდერებისგან ყველაფერს ითხოვენ და მატჩების მოგებას მათგან ელიან, სხვებს კი მიხმარება არ სურთ. ბრაზილიის მაგალითი ავიღოთ. მათი მთელი ნაკრები ვარსკვლავებისგან შედგება და მცველებიც კი შემტევი ჰყავთ — სისინიო, რობერტო კარლოსი... ერთადერთი მცველი, ვინც წინ წასვლას ერიდება, კრისია. თუ ასეთი სტილის მოთამაშეები არ გყავს, ან მათ არ სურთ, თავდამსხმელებს დაეხმარონ, რაიმე სერიოზულზე ფიქრი ძალიან ძნელია. ჩვენი მთავარი პრობლემა მენტალიტეტია, თუმცა იმედი დავიტოვოთ, რომ ამ ბარიერს გადავლახავთ და ლიდერებიც სათანადო ფორმაში საჭირო დროს ჩადგებიან" — დასძინა საკიმ.

შეგახსენებთ, რომ შეტევის მოყვარულმა მწვრთნელმა 1994 წელს „სკუადრა აძურა" მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გაიყვანა, სადაც ბრაზილიასთან წააგო. ხოლო 1996 წელს, ევროპის ჩემპიონატზე, იტალიის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე შემტევი და ლაღი ნაკრები ჰყავდა. თუმცა კარგი და ლაღი თამაშის მიუხედავად, აპენინელები სენსაციურად ჯგუფში ჩარჩნენ, რისი მიზეზიც ფატალური უიღბლობა იყო, მაგრამ მთავარ დამნაშავედ საკი მიიჩნიეს და მან პოსტი დატოვა.

**გიორგი ძაძამიძე**

# პატარა ჯადოქარს დიეგო გაწვრთნის



ხუან სებასტიან ვერონი



მარკო მატერაცი



ფაბიო გროსო

**ხუან სებასტიან ვერონის** ამბავი საბოლოოდ გადაწყდა. მან „ინტერი“ დატოვა და „ესტუდიანტესში“ დაბრუნდა, სადაც დაიწყო პროფესიული კარიერა. „პატარა ჯადოქარი“, როგორც მას სამშობლოში ეძახიან, ყოფილ თანაგუნდელ დიეგო სიმეონესთან ერთად იქნება, რომელმაც ახლახან აველანედას „რასინგი“ დატოვა და „ესტუდიანტესის“ მწვრთნელი გახდა. შეგახსენებთ, რომ ვერონის მამაც ფეხბურთელი იყო და „ჯადოქარს“ ეძახდნენ.

„აქ დაბრუნება ყოველთვის მინდოდა და მიხარია, რომ ბოლოს და ბოლოს ეს მოხდა“ — თქვა 31 წლის ნახევარმცველმა.

მოგეხსენებათ, ვერონი მსოფლიოს ჩემპიონატზე არ ითამაშებს. მას ნაკრების კაპიტან ხუან სორინთან და მთავარ მწვრთნელ ხოსე პეკერმანთან არცთუ კარგი ურთიერთობა აქვს.

„მისი სამშობლოში დაბრუნება არგენტინულ ფეხბურთს ძალიან წაადგება. ვერონმა ევროპაში გატარებული მრავალი წლის მანძილზე დაამტკიცა, რომ ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში“ — თქვა „ალბისელესტეს“ ლიდერმა ხუან რომან რიკელმემ.

„გაკვირვებული დავრჩი ხუანის გადაწყვეტილებით, მას შეეძლო ევროპულ ფეხბურთში დარჩენა. თავის პოზიციაზე იგი ახლაც ერთ-ერთი საუკეთესოა“ — ეს კი არგენტინის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველ გაბრიელ ჰაინცეს სიტყვებია.

ახლა „ინტერს“ დავუბრუნდეთ და სხვა იქაურ ამბებზეც ვთქვათ. როგორც ჩანს, „ნეროაძურიმ“ პალერმოელი ფაბიო გროსოს ხელში ჩაგდება მოახერხა. ამბობენ, მილანელები მის სანაცვლოდ 6-7 მილიონ ევროს და პერსპექტიულ მცველს ერნან პაბლო დელაფიორეს გაიმეტებენო. „ინტერის“ მფლობელი მასიმო მარატი და სიცილიელთა პრეზიდენტი მაურიციო ძამპარინი ცოტა ხნის წინ შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ ეს ინფორმაცია ოფიციალურად ჯერ არც ერთ მხარეს არ დაუდასტურებია.

29 წლის გროსო იტალიაში ერთ-ერთ საუკეთესო მარცხენა მცველად ითვლება. მას ჩინებულად ეხერხება შეტევებში ჩართვაც. „ინტერს“ კი ამ პოზიციის გაძლიერება ესაჭიროება. განსაკუთრებით მას მერე, რაც ჯუზეპე ფავალი „მილანში“, ხოლო პიერ ვომე „ვერდერში“ გადავიდა.

ამასობაში „ნეროაძურიდან“ წასვლაზე ფიქრობს მარკო მატერაცი, მიუხედავად იმისა, რომ 32 წლის მცველს კლუბთან კონტრაქტი 2009 წლამდე აქვს. თუმცა ბოლო დროს მას ხშირად აკრიტიკებენ და ძირითად შემადგენლობაში მოხვედრაც უჭირს, რაც მატერაცის არ სიამოვნებს.

„ჩვენ ახლო მომავალში „ინტერის“ ხელმძღვანელობას შევხვდებით და ყველაფერი ამის მერე გაირკვევა. მარკოს ამჟამად ბევრი რეალური მსურველი ჰყავს. მაგალითად, ესპანური „ვილიარეალი“ ჯერ კიდევ აპრილში დაგვიკავშირდა“ — თქვა მატერაცის აგენტმა კლაუდიო ვიგორელიმ.

გავრცელებული ცნობით, მატერაცით „ვილიარეალის“ გარდა „ლაციო“, „მილანი“, „მონაკო“, „ტოტენჰემი“ და „ნიუკასლი“ არიან დაინტერესებულნი.

**კოკი კანდელაკი**

# ვან ბასტენმა ბიჭებს დაუძახა



ნაიჯელ დე იონგი

**ჰოლანდიის** ნაკრების თავკაცი მარკო ვან ბასტენი იძულებული გახდა, ორი ნახევარმცველი გამოეძახა — სტიინ შაარსი და ნაიჯელ დე იონგი. „ნარინჯისფერებს“ ტრავმების ეპიდემიამ შეუტია. ჰოლანდიელთა პლეიმეიკერი რაფაელ ვან დერ ვაარტი ისევ დაშავებულია. ავსტრალიასთან ამხანაგურ მატჩში კი ერთბაშად ოთხმა მოთამაშემ — უესლი სნეიდერმა, ფილიპ კოკუმ, კეუ ჯალენსმა და ჯოვანი ვან ბრონჰორსტმა — მიიღო მცირე ტრავმა.

„ამ მომენტში ზუსტად არ ვიცით, რომელიმე დაშავებულ მოთამაშეს დასჭირდება თუ არა შეცვლა, მაგრამ ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ. შაარსი და დე იონგი ჩინებული ფეხბურთელები არიან, მათ ბოლომდე უნდა ვენდოთ. იმედია, დაშავებული ფეხბურთელები მომჯობინდებიან“ — აღნიშნა ვან ბასტენმა.

როგორც იცით, ნაკრებებს ტრავმირებული მოთამაშის შეცვლის უფლება მუნდიალზე პირველ მატჩამდე 24 საათით ადრე აქვთ. ჰოლანდია კი მსოფლიოს ჩემპიონატს 10 ივნისს სერბეთთან მატჩით იწყებს.

ალკმაარელი შაარსი ახლახან ოცდაერთწლამდელთა ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონი გახდა. ჰამბურგელი დე იონგი კი ბევრად უფრო გამოცდილია და თავის დროზე, ვან ბასტენის თქმით, მუხლის ტრავმის გამო არ შეიყვანა ოცდასამკაციან განაცხადში. თუმცა ახლა „აიაქსის“ ყოფილი ნახევარმცველი მომჯობინდა და მზადაა სათამაშოდ.

**გიორგი კაკაბაძე**

## ნორვეგია

### ტიპელიგა. XI ტური

ჰამ კამი — მიოლდე 1:2; ლინი — ვიკინგი 0:0; ოდ გრენლანდი — ფრედრიკსტადი 3:3; სანდეფიორდი — სტარტი 1:1; ტრომსიო — ლილესტრიომი 1:0; რუსენბორგი — ბრანი 0:0; სტაბეკი — ვოლერენგა 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრანი | 11 | 7 | 4 | 0 | 19:7 | 25 |
| ლილესტრიომი | 11 | 6 | 3 | 2 | 19:12 | 21 |
| ოდ გრენლანდი | 11 | 3 | 6 | 2 | 14:11 | 15 |
| რუსენბორგი | 11 | 3 | 6 | 2 | 14:12 | 15 |
| სანდეფიორდი | 11 | 4 | 3 | 4 | 12:14 | 15 |
| ვიკინგი | 11 | 3 | 5 | 3 | 9:9 | 14 |
| მიოლდე | 11 | 4 | 2 | 5 | 12:14 | 14 |
| სტაბეკი | 11 | 2 | 7 | 2 | 12:12 | 13 |
| ვოლერენგა | 11 | 3 | 4 | 4 | 11:12 | 13 |
| ფრედრიკსტადი | 11 | 3 | 4 | 4 | 15:20 | 13 |
| ჰამ კამი | 11 | 3 | 3 | 5 | 14:14 | 12 |
| ლინი | 11 | 3 | 3 | 5 | 9:13 | 12 |
| სტარტი | 11 | 2 | 5 | 4 | 9:13 | 11 |
| ტრომსიო | 11 | 2 | 3 | 6 | 10:16 | 9 |

# დინოზავრი მონაკოში



**ვეტერანი** ჩეხი ფორვარდი იან კოლერი „დორტმუნდიდან“ „მონაკოში“ გადავიდა. სამთავროს გუნდმა 33 წლის გიგანტ თავდამსხმელთან, რომელსაც დინოზავრთან მსგავსების გამო „დინოს“ ეძახიან, ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. შეთანხმების ფინანსური მხარე ჯერ უცნობია. ვთქვათ ისიც, რომ მონაკოში უკვე თამაშობს ერთი ჩეხი — იაროსლავ პლასილი.

„ფრანგები ჩემით ძალიან დაინტერესებულნი იყვნენ და ჩემს აგენტ პაველ პაშკას სარფიანი წინადადებით მიმართეს. „მონაკოს“ მწვრთნელსა და პრეზიდენტს დიდი სურვილი ჰქონდათ, მათ კლუბში მეთამაშა და მეც სიამოვნებით დავთანხმდი“ — თქვა 33 წლის კოლერმა.

კოლერმა თამაში გასულ თვეში განაახლა. იგი 2005 წლის სექტემბერში მიღებული ტრავმის გამო დიდხანს ისვენებდა, თუმცა ახლა კარგ ფორმაშია და ეროვნულ ნაკრებთან ერთად მუნდიალისთვის ემზადება და მისი ძალიან ეიმედება. „დინოს“ ჩეხეთის ღირსება 68-ჯერ დაუცავს და 42 გოლი გაუტანია, რაც შესაშური შედეგია. მისი პროფესიული კარიერა 20 წლის ასაკში პრაღის „სპარტაში“ დაიწყო. მერე ბელგიურ „ლოკერენსა“ და „ანდერლეხტში“ თამაშობდა, ბოლო 5 წელი კი „დორტმუნდში“ გაატარა.

**კოკი კანდელაკი**

სარბიელი
სამუშაოდ
იწვევს
გაზეთში ნამუშევარ
დამკაბადონებელს
მიღება
მოხდება
შერჩევით
მსურველებმა
მოგვაკითხეთ
„სარბიელის“
რედაქციაში,
ალექსანდრე ყაზბეგის
გამზირი 42,
II კორპუსი,
IV სართული,
15-დან 18 საათამდე.
ცნობებისთვის დარეკეთ
39-48-29, 38-11-14

# პიოლი გაპარმელდა



**იტალიური** „პარმას“ თავკაცად სტეფანო პიოლი დაინიშნა. 40 წლის პიოლი პარმაშია დაბადებული და მშობლიური ქალაქის გუნდის მწვრთნელობაზე სიხარულით განაცხადა თანხმობა. იგი გუშინ „კოლეკოს“ საწვრთნელ ბაზაზე ჟურნალისტებს წარუდგინეს, თუმცა კონტრაქტის პირობები ჯერ არ ხმაურდება.

პიოლიმ ამ პოსტზე მარიო ბერეტა შეცვალა. მისი პროგრამა-მინიმუმი, „ენიო ტარდინის“ ბინადართა სერია A-ში დატოვება იქნება. პიოლი აქამდე „მოდენას“ წვრთნიდა და ამ კლუბში საკმაოდ კარგადაც იმუშავა, თუმცა რამდენიმე დღის წინ სერია A-ში გადასასვლელ პლეი ოფში „მანტოვასთან“ დამარცხდა. მას აქამდე უმაღლესი ლიგის გუნდი არ გაუწვრთნია.

**კოკი კანდელაკი**

# სარბიელი და კროკი

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში** | | | | | | |
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 17:00 | 158 | ეკვადორი-კოსტა რიკა | 2.10 | 3.20 | 3.25 | 1.26 | 1.27 | 1.61 |
| 20:00 | 159 | ინგლისი-ტრინიდადი | 1.15 | 6.00 | 16.00 | 1.00 | 1.07 | 4.36 |
| 23:00 | 161 | შვედეთი-პარაგვაი | 1.80 | 3.20 | 4.50 | 1.15 | 1.28 | 1.87 |
| | | **16 ივნისი** | | | | | | |
| 17:00 | 162 | არგენტინა-სერბეთი | 1.55 | 3.60 | 5.80 | 1.08 | 1.22 | 2.22 |
| 20:00 | 164 | ჰოლანდია-კოტ დიუარი | 1.65 | 3.30 | 5.50 | 1.10 | 1.26 | 2.06 |
| 23:00 | 166 | მექსიკა-ანგოლა | 1.45 | 3.80 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| | | **17 ივნისი** | | | | | | |
| 17:00 | 168 | პორტუგალია-ირანი | 1.35 | 4.30 | 8.00 | 1.02 | 1.15 | 2.79 |
| 20:00 | 170 | ჩეხეთი-განა | 1.65 | 3.40 | 5.20 | 1.11 | 1.25 | 2.05 |
| 23:00 | 171 | იტალია-აშშ | 1.55 | 3.40 | 6.00 | 1.06 | 1.23 | 2.17 |
| | | **18 ივნისი** | | | | | | |
| 17:00 | 173 | იაპონია-ხორვატია | 4.00 | 3.30 | 1.80 | 1.80 | 1.24 | 1.16 |
| 20:00 | 174 | ბრაზილია-ავსტრალია | 1.20 | 5.20 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.62 |
| 23:00 | 176 | საფრანგეთი-ს კორეა | 1.35 | 4.10 | 9.00 | 1.01 | 1.17 | 2.81 |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 17:00 | 178 | ტოგო-შვეიცარია | 5.30 | 3.40 | 1.65 | 2.07 | 1.25 | 1.11 |
| 20:00 | 179 | ს.არაბეთი-უკრაინა | 9.00 | 4.20 | 1.35 | 2.86 | 1.17 | 1.02 |
| 23:00 | 180 | ესპანეთი-ტუნისი | 1.40 | 3.90 | 7.50 | 1.03 | 1.17 | 2.56 |
| | | **20 ივნისი** | | | | | | |
| 18:00 | 182 | ეკვადორი-გერმანია | 8.50 | 4.30 | 1.35 | 2.85 | 1.16 | 1.02 |
| 18:00 | 183 | კოსტა რიკა-პოლონეთი | 5.20 | 3.40 | 1.65 | 2.05 | 1.25 | 1.11 |
| 23:00 | 184 | პარაგვაი-ტრინიდადი | 1.45 | 3.80 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.46 |
| 23:00 | 186 | შვედეთი-ინგლისი | 3.70 | 3.20 | 1.95 | 1.71 | 1.27 | 1.21 |
| | | **21 ივნისი** | | | | | | |
| 18:00 | 187 | პორტუგალია-მექსიკა | 2.15 | 3.10 | 3.30 | 1.26 | 1.30 | 1.59 |
| 18:00 | 188 | ირანი-ანგოლა | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |
| 23:00 | 189 | ჰოლანდია-არგენტინა | 3.00 | 3.10 | 2.30 | 1.52 | 1.30 | 1.32 |
| 23:00 | 190 | კოტ დიუარი-სერბეთი | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 18:00 | 191 | ჩეხეთი-იტალია | 3.10 | 3.10 | 2.20 | 1.54 | 1.28 | 1.28 |
| 18:00 | 192 | განა-აშშ | 3.20 | 3.20 | 2.15 | 1.60 | 1.28 | 1.28 |
| 23:00 | 193 | ხორვატია-ავსტრალია | 1.90 | 3.20 | 3.90 | 1.19 | 1.27 | 1.75 |
| 23:00 | 194 | იაპონია-ბრაზილია | 10.00 | 5.50 | 1.22 | 3.54 | 1.08 | 1.00 |
| | | **23 ივნისი** | | | | | | |
| 18:00 | 195 | უკრაინა-ტუნისი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 18:00 | 197 | ს.არაბეთი-ესპანეთი | 12.00 | 5.50 | 1.20 | 3.77 | 1.09 | 1.00 |
| 23:00 | 198 | შვეიცარია-ს კორეა | 1.90 | 3.20 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| 23:00 | 199 | ტოგო-საფრანგეთი | 9.00 | 4.80 | 1.28 | 3.13 | 1.12 | 1.01 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **7 ივნისი** | | | | | | |
| 22:45 | 31 | ალბინოლეფე-აველინო | 2.00 | 2.90 | 3.70 | 1.18 | 1.29 | 1.62 |
| | | **ბელგია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **8 ივნისი** | | | | | | |
| 21:00 | 44 | ლომელი-ვიგორი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 22:30 | 45 | ლიერსი-გეელი | 1.37 | 3.90 | 6.50 | 1.01 | 1.13 | 2.43 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **8 ივნისი** | | | | | | |
| 19:30 | 89 | ჰონკა-კტპ | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 19:30 | 90 | იარო-ტამპერე | 4.00 | 3.30 | 1.80 | 1.80 | 1.24 | 1.16 |
| 19:30 | 91 | კუოპიო-ინტერი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 19:30 | 92 | მიუპა-ჰიკ | 1.90 | 3.20 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| 19:30 | 93 | ტურკუ-ლაჰტი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |

## ფორმულა 1. 9 ივნისი

14:00 ....... 1001 ........... გამარჯვებული კულტხარდი ....... 65.00
14:00 ....... 1001 ........... გამარჯვებული ვილნევი ....... 50.00
14:00 ....... 1001 ........... გამარჯვებული როსბერგი ....... 45.00
14:00 ....... 1001 ........... გამარჯვებული ტრული ....... 35.00
14:00 ....... 1001 ........... გამარჯვებული ხაიდფელდი ....... 70.00
14:00 ....... 1001 ........... გამარჯვებული ბარიკელო ....... 25.00
14:00 ....... 1001 ........... გამარჯვებული ბატონი ....... 18.00
14:00 ....... 1001 ........... გამარჯვებული მონტოია ....... 9.00
14:00 ....... 1001 ........... გამარჯვებული ფიზიკელა ....... 8.50
14:00 ....... 1001 ........... გამარჯვებული რ შუმახერი ....... 30.00
14:00 ....... 1001 ........... გამარჯვებული კლიენი ....... 90.00
14:00 ....... 1001 ........... გამარჯვებული სპიდი ....... 180.00
14:00 ....... 1001 ........... გამარჯვებული სატო ....... 220.00
14:00 ....... 1001 ........... გამარჯვებული ალბერსი ....... 190.00
14:00 ....... 1001 ........... გამარჯვებული მასა ....... 12.00
14:00 ....... 1001 ........... გამარჯვებული მონტანი ....... 230.00
14:00 ....... 1001 ........... გამარჯვებული მონტეირო ....... 200.00
14:00 ....... 1001 ........... გამარჯვებული უებერი ....... 22.00
14:00 ....... 1001 ........... გამარჯვებული ალონსო ....... 2.20
14:00 ....... 1001 ........... გამარჯვებული მ შუმახერი ....... 2.50
14:00 ....... 1001 ........... გამარჯვებული რაიკონენი ....... 6.50
14:00 ....... 1001 ........... გამარჯვებული ლიუცი ....... 150.00

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | გერმანია-კოსტა რიკა | 1.55 | 2.50 | 8.00 | 1.00 | 1.29 | 1.90 |
| 10003 | პოლონეთი-ეკვადორი | 2.20 | 2.10 | 4.50 | 1.07 | 1.47 | 1.43 |
| 10004 | ინგლისი-პარაგვაი | 1.85 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.41 | 1.60 |
| 10006 | შვედეთი-ტრინიდადი | 1.50 | 2.60 | 8.00 | 1.00 | 1.26 | 1.96 |
| 10008 | არგენტინა-კოტ დიუარი | 1.85 | 2.10 | 6.00 | 1.00 | 1.41 | 1.55 |
| 10010 | ჰოლანდია-სერბეთი | 2.30 | 2.00 | 4.30 | 1.06 | 1.49 | 1.36 |
| 10011 | მექსიკა-ირანი | 1.80 | 2.20 | 6.50 | 1.00 | 1.40 | 1.64 |
| 10013 | პორტუგალია-ანგოლა | 1.55 | 2.80 | 6.00 | 1.00 | 1.23 | 1.90 |
| 10015 | იტალია-განა | 1.75 | 2.50 | 5.50 | 1.02 | 1.32 | 1.71 |
| 10017 | ჩეხეთი-აშშ | 2.40 | 2.00 | 4.00 | 1.09 | 1.50 | 1.33 |
| 10018 | იაპონია-ავსტრალია | 2.90 | 2.00 | 2.90 | 1.18 | 1.45 | 1.18 |
| 10019 | ს.კორეა-ტოგო | 2.50 | 2.00 | 3.90 | 1.11 | 1.52 | 1.32 |
| 10020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 2.00 | 2.00 | 6.00 | 1.00 | 1.50 | 1.50 |
| 10021 | ბრაზილია-ხორვატია | 1.70 | 2.30 | 6.00 | 1.00 | 1.32 | 1.66 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | გერმანია-კოსტა რიკა | 1.60 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11003 | პოლონეთი-ეკვადორი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11004 | ინგლისი-პარაგვაი | 2.10 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11006 | შვედეთი-ტრინიდადი | 1.60 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11008 | არგენტინა-კოტ დიუარი | 2.00 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11010 | ჰოლანდია-სერბეთი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11011 | მექსიკა-ირანი | 2.00 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 9.00 |
| 11013 | პორტუგალია-ანგოლა | 1.70 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 12.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11015 | იტალია-განა | 2.00 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11017 | ჩეხეთი-აშშ | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11018 | იაპონია-ავსტრალია | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11019 | ს.კორეა-ტოგო | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11021 | ბრაზილია-ხორვატია | 1.90 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11023 | ესპანეთი-უკრაინა | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |

### გავა თუ არა სწრაფი გოლი მჩ 2006 'ში (2 წთ). 9 ივნისი

18:00 9701 1.32 2.05

### მჩ 2006 'ში გატანილი გოლების რაოდენობა (ძირ დრო) 9 ივნისი

18:00 9702 160,5 1.80 1.80

### მჩ 2006 პენალტების რაოდენობა (ძირ დრო) 9 ივნისი

18:00 9801 16,5 1.90 1.80

### მჩ 2006 გოლი საკუთარ კარში (ძირ დრო) 9 ივნისი

18:00 9802 3,5 1.70 1.90

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | გერმანია-კოსტა რიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15003 | პოლონეთი-ეკვადორი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 | ინგლისი-პარაგვაი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | შვედეთი-ტრინიდადი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | არგენტინა-კოტ დიუარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | ჰოლანდია-სერბეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | მექსიკა-ირანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15013 | პორტუგალია-ანგოლა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15015 | იტალია-განა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15017 | ჩეხეთი-აშშ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15018 | იაპონია-ავსტრალია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15019 | ს.კორეა-ტოგო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15021 | ბრაზილია-ხორვატია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15023 | ესპანეთი-უკრაინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრის გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | გერმანია-კოსტა რიკა | 1.06 | 5.50 |
| 16003 | პოლონეთი-ეკვადორი | 1.32 | 2.60 |
| 16004 | ინგლისი-პარაგვაი | 1.22 | 3.40 |
| 16006 | შვედეთი-ტრინიდადი | 1.06 | 5.50 |
| 16008 | არგენტინა-კოტ დიუარი | 1.17 | 3.80 |
| 16010 | ჰოლანდია-სერბეთი | 1.38 | 2.55 |
| 16011 | მექსიკა-ირანი | 1.17 | 3.80 |
| 16013 | პორტუგალია-ანგოლა | 1.08 | 5.00 |
| 16015 | იტალია-განა | 1.16 | 3.80 |
| 16017 | ჩეხეთი-აშშ | 1.32 | 2.60 |
| 16018 | იაპონია-ავსტრალია | 1.80 | 1.80 |
| 16019 | ს.კორეა-ტოგო | 1.50 | 2.20 |
| 16020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.25 | 3.00 |
| 16021 | ბრაზილია-ხორვატია | 1.13 | 4.00 |
| 16023 | ესპანეთი-უკრაინა | 1.30 | 2.75 |
| 16024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 1.35 | 2.50 |

## გოლი:ფშვილი-1ეზე კენტი-2. (0:0 ითვლება ფშვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | გერმანია-კოსტა რიკა | 1.85 | 1.95 |
| 17003 | პოლონეთი-ეკვადორი | 1.85 | 1.95 |
| 17004 | ინგლისი-პარაგვაი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | შვედეთი-ტრინიდადი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | არგენტინა-კოტ დიუარი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | ჰოლანდია-სერბეთი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | მექსიკა-ირანი | 1.85 | 1.95 |
| 17013 | პორტუგალია-ანგოლა | 1.85 | 1.95 |
| 17015 | იტალია-განა | 1.85 | 1.95 |
| 17017 | ჩეხეთი-აშშ | 1.85 | 1.95 |
| 17018 | იაპონია-ავსტრალია | 1.85 | 1.95 |
| 17019 | ს.კორეა-ტოგო | 1.85 | 1.95 |
| 17020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.85 | 1.95 |
| 17021 | ბრაზილია-ხორვატია | 1.85 | 1.95 |
| 17023 | ესპანეთი-უკრაინა | 1.85 | 1.95 |
| 17024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 1.85 | 1.95 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12001 | გერმანია-კოსტა რიკა | 2.10 | 1.60 |
| 12003 | პოლონეთი-ეკვადორი | 1.70 | 1.90 |
| 12004 | ინგლისი-პარაგვაი | 1.70 | 1.90 |
| 12006 | შვედეთი-ტრინიდადი | 2.10 | 1.60 |
| 12008 | არგენტინა-კოტ დიუარი | 1.70 | 1.90 |
| 12010 | ჰოლანდია-სერბეთი | 1.70 | 1.90 |
| 12011 | მექსიკა-ირანი | 1.70 | 1.90 |
| 12013 | პორტუგალია-ანგოლა | 2.00 | 1.60 |
| 12015 | იტალია-განა | 1.70 | 1.90 |
| 12017 | ჩეხეთი-აშშ | 1.70 | 1.90 |
| 12018 | იაპონია-ავსტრალია | 1.60 | 2.00 |
| 12019 | ს.კორეა-ტოგო | 1.60 | 2.00 |
| 12020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.60 | 2.00 |
| 12021 | ბრაზილია-ხორვატია | 1.80 | 1.80 |
| 12023 | ესპანეთი-უკრაინა | 1.60 | 2.00 |
| 12024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 1.60 | 2.00 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 13001 | გერმანია-კოსტა რიკა | 1.90 | 1.60 |
| 13003 | პოლონეთი-ეკვადორი | 1.70 | 1.90 |
| 13004 | ინგლისი-პარაგვაი | 1.90 | 1.70 |
| 13006 | შვედეთი-ტრინიდადი | 1.90 | 1.60 |
| 13008 | არგენტინა-კოტ დიუარი | 1.90 | 1.60 |
| 13010 | ჰოლანდია-სერბეთი | 1.70 | 1.90 |
| 13011 | მექსიკა-ირანი | 1.90 | 1.60 |
| 13013 | პორტუგალია-ანგოლა | 1.90 | 1.60 |
| 13015 | იტალია-განა | 1.90 | 1.60 |
| 13017 | ჩეხეთი-აშშ | 1.70 | 1.90 |
| 13018 | იაპონია-ავსტრალია | 1.70 | 1.90 |
| 13019 | ს.კორეა-ტოგო | 1.80 | 1.80 |
| 13020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.80 | 1.80 |
| 13021 | ბრაზილია-ხორვატია | 1.70 | 1.80 |
| 13023 | ესპანეთი-უკრაინა | 1.70 | 1.90 |
| 13024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 1.70 | 1.90 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | გერმანია-კოსტა რიკა | 1.08 | 2.90 |
| 14003 | პოლონეთი-ეკვადორი | 1.60 | 2.30 |
| 14004 | ინგლისი-პარაგვაი | 1.30 | 2.50 |
| 14006 | შვედეთი-ტრინიდადი | 1.08 | 2.90 |
| 14008 | არგენტინა-კოტ დიუარი | 1.30 | 2.50 |
| 14010 | ჰოლანდია-სერბეთი | 1.60 | 2.20 |
| 14011 | მექსიკა-ირანი | 1.20 | 2.60 |
| 14013 | პორტუგალია-ანგოლა | 1.08 | 2.90 |
| 14015 | იტალია-განა | 1.20 | 2.60 |
| 14017 | ჩეხეთი-აშშ | 1.60 | 2.20 |
| 14018 | იაპონია-ავსტრალია | 1.90 | 1.90 |
| 14019 | ს.კორეა-ტოგო | 1.70 | 2.10 |
| 14020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.40 | 2.40 |
| 14021 | ბრაზილია-ხორვატია | 1.20 | 2.60 |
| 14023 | ესპანეთი-უკრაინა | 1.35 | 2.40 |
| 14024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 1.60 | 2.20 |

## ვინ დაიწყებს თამაშს

| | | | |
|---|---|---|---|
| 19001 | გერმანია-კოსტა რიკა | 1.85 | 1.85 |
| 19003 | პოლონეთი-ეკვადორი | 1.85 | 1.85 |
| 19004 | ინგლისი-პარაგვაი | 1.85 | 1.85 |
| 19006 | შვედეთი-ტრინიდადი | 1.85 | 1.85 |
| 19008 | არგენტინა-კოტ დიუარი | 1.85 | 1.85 |
| 19010 | ჰოლანდია-სერბეთი | 1.85 | 1.85 |
| 19011 | მექსიკა-ირანი | 1.85 | 1.85 |
| 19013 | პორტუგალია-ანგოლა | 1.85 | 1.85 |
| 19015 | იტალია-განა | 1.85 | 1.85 |
| 19017 | ჩეხეთი-აშშ | 1.85 | 1.85 |
| 19018 | იაპონია-ავსტრალია | 1.85 | 1.85 |
| 19019 | ს.კორეა-ტოგო | 1.85 | 1.85 |
| 19020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.85 | 1.85 |
| 19021 | ბრაზილია-ხორვატია | 1.85 | 1.85 |
| 19023 | ესპანეთი-უკრაინა | 1.85 | 1.85 |
| 19024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 1.85 | 1.85 |

## ვინ მოაწვდის პირველ კუთხურს (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 20001 | გერმანია-კოსტა რიკა | 1.50 | 2.20 |
| 20003 | პოლონეთი-ეკვადორი | 1.70 | 1.90 |
| 20004 | ინგლისი-პარაგვაი | 1.60 | 2.00 |
| 20006 | შვედეთი-ტრინიდადი | 1.50 | 2.20 |
| 20008 | არგენტინა-კოტ დიუარი | 1.60 | 2.00 |
| 20010 | ჰოლანდია-სერბეთი | 1.70 | 1.90 |
| 20011 | მექსიკა-ირანი | 1.60 | 2.00 |
| 20013 | პორტუგალია-ანგოლა | 1.50 | 2.10 |
| 20015 | იტალია-განა | 1.60 | 2.00 |
| 20017 | ჩეხეთი-აშშ | 1.70 | 1.90 |
| 20018 | იაპონია-ავსტრალია | 1.80 | 1.80 |
| 20019 | ს.კორეა-ტოგო | 1.70 | 1.90 |
| 20020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.60 | 2.00 |
| 20021 | ბრაზილია-ხორვატია | 1.50 | 2.10 |
| 20023 | ესპანეთი-უკრაინა | 1.60 | 1.95 |
| 20024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 1.70 | 1.90 |

## კუთხურების რაოდენობა (ძირ. დრო) 10,5

| | | | |
|---|---|---|---|
| 22001 | გერმანია-კოსტა რიკა | 1.80 | 1.90 |
| 22003 | პოლონეთი-ეკვადორი | 1.90 | 1.80 |
| 22004 | ინგლისი-პარაგვაი | 1.70 | 1.90 |
| 22006 | შვედეთი-ტრინიდადი | 1.80 | 1.80 |
| 22008 | არგენტინა-კოტ დიუარი | 1.80 | 1.90 |
| 22010 | ჰოლანდია-სერბეთი | 1.70 | 2.00 |
| 22011 | მექსიკა-ირანი | 1.70 | 2.00 |
| 22013 | პორტუგალია-ანგოლა | 1.70 | 2.00 |
| 22015 | იტალია-განა | 1.70 | 2.00 |
| 22017 | ჩეხეთი-აშშ | 1.70 | 2.00 |
| 22018 | იაპონია-ავსტრალია | 1.70 | 2.00 |
| 22019 | ს.კორეა-ტოგო | 1.80 | 1.90 |
| 22020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.80 | 1.90 |
| 22021 | ბრაზილია-ხორვატია | 1.80 | 1.80 |
| 22023 | ესპანეთი-უკრაინა | 1.80 | 1.90 |
| 22024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 1.70 | 2.00 |

## ვინ მიიღებს პირველ გაფრთხილებას (ყფ) (ძირ. დრო)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 21001 | გერმანია-კოსტა რიკა | 2.00 | 10.00 | 1.60 |
| 21003 | პოლონეთი-ეკვადორი | 1.90 | 10.00 | 1.70 |
| 21004 | ინგლისი-პარაგვაი | 1.90 | 10.00 | 1.70 |
| 21006 | შვედეთი-ტრინიდადი | 2.10 | 10.00 | 1.60 |
| 21008 | არგენტინა-კოტ დიუარი | 1.90 | 10.00 | 1.70 |
| 21010 | ჰოლანდია-სერბეთი | 1.90 | 10.00 | 1.70 |
| 21011 | მექსიკა-ირანი | 1.90 | 10.00 | 1.70 |
| 21013 | პორტუგალია-ანგოლა | 2.00 | 10.00 | 1.60 |
| 21015 | იტალია-განა | 1.90 | 10.00 | 1.70 |
| 21017 | ჩეხეთი-აშშ | 1.90 | 10.00 | 1.70 |
| 21018 | იაპონია-ავსტრალია | 1.80 | 10.00 | 1.80 |
| 21019 | ს.კორეა-ტოგო | 1.90 | 10.00 | 1.70 |
| 21020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.90 | 10.00 | 1.70 |
| 21021 | ბრაზილია-ხორვატია | 1.90 | 10.00 | 1.65 |
| 21023 | ესპანეთი-უკრაინა | 1.90 | 10.00 | 1.70 |
| 21024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 1.90 | 10.00 | 1.70 |

## იქნება თუ არა მატჩში პენალტი (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 23001 | გერმანია-კოსტა რიკა | 3.00 | 1.30 |
| 23003 | პოლონეთი-ეკვადორი | 3.10 | 1.22 |
| 23004 | ინგლისი-პარაგვაი | 3.00 | 1.30 |
| 23006 | შვედეთი-ტრინიდადი | 2.90 | 2.28 |
| 23008 | არგენტინა-კოტ დიუარი | 3.10 | 1.25 |
| 23010 | ჰოლანდია-სერბეთი | 3.10 | 1.25 |
| 23011 | მექსიკა-ირანი | 3.10 | 1.25 |
| 23013 | პორტუგალია-ანგოლა | 3.10 | 1.25 |
| 23015 | იტალია-განა | 3.10 | 1.25 |
| 23017 | ჩეხეთი-აშშ | 3.30 | 1.22 |
| 23018 | იაპონია-ავსტრალია | 3.10 | 1.25 |
| 23019 | ს.კორეა-ტოგო | 3.10 | 1.20 |
| 23020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 3.10 | 1.20 |
| 23021 | ბრაზილია-ხორვატია | 3.20 | 1.25 |
| 23023 | ესპანეთი-უკრაინა | 3.30 | 1.22 |
| 23024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 3.20 | 1.25 |


გაიხსნა კროკოს
ახალი ბიუროები:
თბილისი – მოსკოვის
გამზირი №6;
ზესტაფონი –
აღმაშენებლის №39;
გარდაბანი –
აღმაშენებლის №12

# სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

## რომელ ჯგუფში გავა ყველაზე მეტი გოლი

9 ივნისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 18:00 | 9201 | ყველაზე მეტი გოლი | ჯგუფი A | 7.00 |
| 18:00 | 9201 | ყველაზე მეტი გოლი | ჯგუფი F | 5.00 |
| 18:00 | 9201 | ყველაზე მეტი გოლი | ჯგუფი H | 6.00 |
| 18:00 | 9201 | ყველაზე მეტი გოლი | ჯგუფი C | 12.00 |
| 18:00 | 9201 | ყველაზე მეტი გოლი | ჯგუფი D | 5.20 |
| 18:00 | 9201 | ყველაზე მეტი გოლი | ჯგუფი E | 7.50 |
| 18:00 | 9201 | ყველაზე მეტი გოლი | ჯგუფი B | 5.50 |
| 18:00 | 9201 | ყველაზე მეტი გოლი | ჯგუფი G | 6.20 |

## რომელი კონტინენტი მოიპოვებს მსოფლიო თასს

9 ივნისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 18:00 | 9301 | გამარჯვებული | ევროპა(14) | 1.30 |
| 18:00 | 9301 | გამარჯვებული | ავსტრალია | 100.00 |
| 18:00 | 9301 | გამარჯვებულ | ჩრ.ამერიკა | 70.00 |
| 18:00 | 9301 | გამარჯვებული | აზია(4) | 60.00 |
| 18:00 | 9301 | გამარჯვებული | ც.ამერიკა(3) | 30.00 |
| 18:00 | 9301 | გამარჯვებული | სამ.ამერიკა(4) | 2.10 |
| 18:00 | 9301 | გამარჯვებული | აფრიკა(5) | 30.00 |

# ვინ გახდება მჩ 2006-ის ბომბარდირი

## 9501. 9 ივნისი. 18.00

| | |
|---|---|
| კლოზე | 28.00 |
| მაკაი | 32.00 |
| დროგბა | 45.00 |
| ჯილარდინო | 25.00 |
| ვილა | 25.00 |
| ტორესი | 25.00 |
| პოდოლსკი | 25.00 |
| რუნი | 17.00 |
| დეკო | 60.00 |
| რონალდო | 10.00 |
| შევჩენკო | 20.00 |
| რონალდინიო | 11.00 |
| ანრი | 13.00 |
| კრესპო | 15.00 |
| ტონი | 15.00 |
| ვან ნისტელროი | 15.00 |
| ზიდანი | 60.00 |
| ტევესი | 30.00 |
| კეჟმანი | 65.00 |
| ადრიანო | 10.00 |
| პრსო | 55.00 |
| ბეკჰემი | 48.00 |
| გომეში | 50.00 |
| ბალაკი | 48.00 |
| კაკა | 48.00 |
| ვენეგოორი | 45.00 |
| ბორგეტი | 45.00 |
| ლარსონი | 45.00 |
| ნედვედი | 65.00 |
| სისე | 45.00 |
| კრაუჩი | 40.00 |
| ვიერი | 30.00 |
| კუიტი | 30.00 |
| პაულეტა | 32.00 |
| რაული | 35.00 |
| რობინიო | 31.00 |
| დელ პიერო | 38.00 |
| მორიენტესი | 40.00 |
| მესი | 35.00 |
| ოუენი | 13.00 |
| ბაროში | 40.00 |
| ლამპარდი | 45.00 |
| ტოტი | 30.00 |
| კოლერი | 65.00 |
| ტრეზეგე | 20.00 |
| იბრაჰიმოვიჩი | 40.00 |

# მსოფლიოს თასი 2006 9 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 18:00 | 9012 | იაპონია | 130.00 |
| 18:00 | 9012 | ბრაზილია | 3.20 |
| 18:00 | 9012 | გერმანია | 7.50 |
| 18:00 | 9012 | პორტუგალია | 18.00 |
| 18:00 | 9012 | ესპანეთი | 12.00 |
| 18:00 | 9012 | ჰოლანდია | 15.00 |
| 18:00 | 9012 | საფრანგეთი | 10.00 |
| 18:00 | 9012 | ანგოლა | 380.00 |
| 18:00 | 9012 | კოტ დი'ვუარი | 80.00 |
| 18:00 | 9012 | ტრინიდადი | 800.00 |
| 18:00 | 9012 | ს.არაბეთი | 600.00 |
| 18:00 | 9012 | ირანი | 450.00 |
| 18:00 | 9012 | ტოგო | 290.00 |
| 18:00 | 9012 | ს კორეა | 250.00 |
| 18:00 | 9012 | ავსტრალია | 80.00 |
| 18:00 | 9012 | პოლონეთი | 75.00 |
| 18:00 | 9012 | ჩეხეთი | 25.00 |
| 18:00 | 9012 | შვედეთი | 28.00 |
| 18:00 | 9012 | მექსიკა | 40.00 |
| 18:00 | 9012 | უკრაინა | 45.00 |
| 18:00 | 9012 | ხორვატია | 50.00 |
| 18:00 | 9012 | ტუნისი | 280.00 |
| 18:00 | 9012 | აშშ | 95.00 |
| 18:00 | 9012 | განა | 190.00 |
| 18:00 | 9012 | კოსტა რიკა | 500.00 |
| 18:00 | 9012 | შვეიცარია | 100.00 |
| 18:00 | 9012 | სერბეთი | 100.00 |
| 18:00 | 9012 | ეკვადორი | 120.00 |
| 18:00 | 9012 | პარაგვაი | 130.00 |
| 18:00 | 9012 | ინგლისი | 6.50 |
| 18:00 | 9012 | იტალია | 8.50 |
| 18:00 | 9012 | არგენტინა | 9.00 |

# მსოფლიოს თასი 2006. 9 ივნისი. ჯგუფში I ადგილი

### ჯგუფი A 9101

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | გერმანია | 1.35 |
| 18:00 | კოსტა რიკა | 15.00 |
| 18:00 | ეკვადორი | 9.00 |
| 18:00 | პოლონეთი | 4.50 |

### ჯგუფი B 9102

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | ტრინიდადი | 35.00 |
| 18:00 | პარაგვაი | 7.00 |
| 18:00 | ინგლისი | 1.45 |
| 18:00 | შვედეთი | 3.10 |

### ჯგუფი C 9103

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | სერბეთი | 9.00 |
| 18:00 | კოტ დი'ვუარი | 9.00 |
| 18:00 | ჰოლანდია | 2.40 |
| 18:00 | არგენტინა | 1.95 |

### ჯგუფი D 9104

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | პორტუგალია | 1.80 |
| 18:00 | ირანი | 10.00 |
| 18:00 | ანგოლა | 12.00 |
| 18:00 | მექსიკა | 2.10 |

### ჯგუფი E 9105

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | იტალია | 1.65 |
| 18:00 | განა | 10.00 |
| 18:00 | ჩეხეთი | 3.00 |
| 18:00 | აშშ | 7.00 |

### ჯგუფი F 9106

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | იაპონია | 12.00 |
| 18:00 | ავსტრალია | 12.00 |
| 18:00 | ხორვატია | 6.20 |
| 18:00 | ბრაზილია | 1.20 |

### ჯგუფი G 9107

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | საფრანგეთი | 1.30 |
| 18:00 | შვეიცარია | 4.80 |
| 18:00 | ტოგო | 15.00 |
| 18:00 | ს კორეა | 10.00 |

### ჯგუფი H 9108

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | ტუნისი | 8.50 |
| 18:00 | ს.არაბეთი | 30.00 |
| 18:00 | უკრაინა | 3.00 |
| 18:00 | ესპანეთი | 1.50 |

# ვინ შეხვდება ერთმანეთს ფინალში. 9 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 18:00 | 9401 | ჩეხ-ხორვ | 500.00 |
| 18:00 | 9401 | შვედ-უკრ | 500.00 |
| 18:00 | 9401 | შვედ-ხორვ | 700.00 |
| 18:00 | 9401 | მექს-ხორვ | 900.00 |
| 18:00 | 9401 | მექს-უკრ | 700.00 |
| 18:00 | 9401 | ინგლ-ხორვ | 150.00 |
| 18:00 | 9401 | საფრ-პორტ | 65.00 |
| 18:00 | 9401 | ჩეხ-შვედ | 240.00 |
| 18:00 | 9401 | საფრ-უკრ | 200.00 |
| 18:00 | 9401 | არგ-შვედ | 100.00 |
| 18:00 | 9401 | არგ-მექს | 95.00 |
| 18:00 | 9401 | ჰოლ-პორტ | 80.00 |
| 18:00 | 9401 | შვედ-მექს | 400.00 |
| 18:00 | 9401 | გერ-შვედ | 80.00 |
| 18:00 | 9401 | საფრ-ჩეხეთ | 80.00 |
| 18:00 | 9401 | ესპ-მექს | 200.00 |
| 18:00 | 9401 | პორტ-შვედ | 200.00 |
| 18:00 | 9401 | ინგლ-მექს | 75.00 |
| 18:00 | 9401 | ბრაზ-უკრ | 75.00 |
| 18:00 | 9401 | იტალ-მექს | 95.00 |
| 18:00 | 9401 | იტალ-ჩეხ | 65.00 |
| 18:00 | 9401 | იტალ-შვედ | 100.00 |
| 18:00 | 9401 | ინგლ-ჩეხეთ | 65.00 |
| 18:00 | 9401 | ბრაზ-შვედ | 65.00 |
| 18:00 | 9401 | ბრაზ-მექს | 60.00 |
| 18:00 | 9401 | არგ-ჩეხეთ | 60.00 |
| 18:00 | 9401 | გერ-ჩეხეთ | 48.00 |
| 18:00 | 9401 | იტალ-პორტ | 50.00 |
| 18:00 | 9401 | ჩეხ-უკრ | 500.00 |
| 18:00 | 9401 | არგ-პორტ | 45.00 |
| 18:00 | 9401 | ჰოლან-ესპ | 40.00 |
| 18:00 | 9401 | ჰოლ-უკრ | 250.00 |
| 18:00 | 9401 | ბრაზ-ხორვ | 70.00 |
| 18:00 | 9401 | ხორვ-უკრ | 800.00 |
| 18:00 | 9401 | ჰოლ-ხორვ | 280.00 |
| 18:00 | 9401 | პორტ-უკრ | 300.00 |
| 18:00 | 9401 | ესპ-ხორვ | 300.00 |
| 18:00 | 9401 | ჩეხ-მექს | 370.00 |
| 18:00 | 9401 | პორტ-ხორვ | 380.00 |
| 18:00 | 9401 | ესპ-პორტ | 80.00 |
| 18:00 | 9401 | ესპ-უკრ | 250.00 |
| 18:00 | 9401 | ჰოლ-მექს | 200.00 |
| 18:00 | 9401 | არგ-ესპ | 25.00 |
| 18:00 | 9401 | ბრაზ-ჩეხეთ | 40.00 |
| 18:00 | 9401 | ინგლ-ესპ | 32.00 |
| 18:00 | 9401 | ბრაზ-პორტ | 32.00 |
| 18:00 | 9401 | ბრა-ესპ | 28.00 |
| 18:00 | 9401 | იტალ-ესპ | 28.00 |
| 18:00 | 9401 | იტალ-საფრ | 25.00 |
| 18:00 | 9401 | გერ-ესპ | 25.00 |
| 18:00 | 9401 | ინგლ-გერ | 11.00 |
| 18:00 | 9401 | ინგლ-იტალ | 11.00 |
| 18:00 | 9401 | გერ-საფრ | 25.00 |
| 18:00 | 9401 | ინგლ-პორტ | 40.00 |
| 18:00 | 9401 | ინგლ-საფ | 13.00 |
| 18:00 | 9401 | არგ-გერ | 16.00 |
| 18:00 | 9401 | ინგლ-არგ | 11.00 |
| 18:00 | 9401 | ბრა-ჰოლ | 16.00 |
| 18:00 | 9401 | არგ-საფრ | 25.00 |
| 18:00 | 9401 | იტალ-ჰოლან | 22.00 |
| 18:00 | 9401 | გერ-ჰოლან | 20.00 |
| 18:00 | 9401 | არგ-იტალ | 20.00 |
| 18:00 | 9401 | გერ-იტალ | 18.00 |
| 18:00 | 9401 | გერ-მექს | 100.00 |
| 18:00 | 9401 | ინგლ-ჰოლან | 25.00 |
| 18:00 | 9401 | ჰოლ-შვედ | 125.00 |
| 18:00 | 9401 | პორტ-მექს | 200.00 |
| 18:00 | 9401 | საფრ-ესპ | 40.00 |
| 18:00 | 9401 | პორტ-ჩეხ | 150.00 |
| 18:00 | 9401 | იტალ-ხორვ | 150.00 |
| 18:00 | 9401 | ჰოლ-ჩეხ | 100.00 |
| 18:00 | 9401 | საფრ-მექს | 150.00 |
| 18:00 | 9401 | ინგლ-შვედ | 40.00 |
| 18:00 | 9401 | არგ-ხორ | 150.00 |
| 18:00 | 9401 | საფრ-ჰოლან | 33.00 |
| 18:00 | 9401 | იტალ-უკრ | 130.00 |
| 18:00 | 9401 | გერ-პორტ | 40.00 |
| 18:00 | 9401 | გერ-უკრ | 125.00 |
| 18:00 | 9401 | ბრა-იტალ | 7.00 |
| 18:00 | 9401 | ბრა-გერ | 6.00 |
| 18:00 | 9401 | ესპ-შვედ | 125.00 |
| 18:00 | 9401 | ბრა-არგ | 6.50 |
| 18:00 | 9401 | საფრ-შვედ | 125.00 |
| 18:00 | 9401 | ბრა-ინგლ | 8.50 |
| 18:00 | 9401 | ბრა-საფრ | 11.00 |
| 18:00 | 9401 | გერ-ხორვ | 150.00 |
| 18:00 | 9401 | საფრ-ხორვ | 240.00 |
| 18:00 | 9401 | ესპ-ჩეხ | 100.00 |
| 18:00 | 9401 | არგ-უკრ | 120.00 |
| 18:00 | 9401 | ინგლ-უკრ | 125.00 |

# მსოფლიოს თასი 2006. 9 ივნისი. ჯგუფიდან გასვლა

### ჯგუფი A 9601

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | კოსტა რიკა | 5.00 |
| 18:00 | გერმანია | 1.07 |
| 18:00 | პოლონეთი | 1.45 |
| 18:00 | ეკვადორი | 2.80 |

### ჯგუფი B 9602

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | ინგლისი | 1.11 |
| 18:00 | შვედეთი | 1.30 |
| 18:00 | ტრინიდადი | 13.00 |
| 18:00 | პარაგვაი | 2.50 |

### ჯგუფი C 9603

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | კოტ დი'ვუარი | 3.00 |
| 18:00 | სერბეთი | 3.00 |
| 18:00 | არგენტინა | 1.20 |
| 18:00 | ჰოლანდია | 1.30 |

### ჯგუფი D 9604

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | ირანი | 4.00 |
| 18:00 | ანგოლა | 5.00 |
| 18:00 | პორტუგალია | 1.14 |
| 18:00 | მექსიკა | 1.22 |

### ჯგუფი E 9605

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | განა | 4.00 |
| 18:00 | იტალია | 1.15 |
| 18:00 | ჩეხეთი | 1.45 |
| 18:00 | აშშ | 2.50 |

### ჯგუფი F 9606

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | ავსტრალია | 3.00 |
| 18:00 | ხორვატია | 1.70 |
| 18:00 | ბრაზილია | 1.02 |
| 18:00 | იაპონია | 3.20 |

### ჯგუფი G 9607

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | შვეიცარია | 1.50 |
| 18:00 | ს. კორეა | 2.70 |
| 18:00 | ტოგო | 5.00 |
| 18:00 | საფრანგეთი | 1.08 |

### ჯგუფი H 9608

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | ესპანეთი | 1.10 |
| 18:00 | უკრაინა | 1.40 |
| 18:00 | ტუნისი | 2.50 |
| 18:00 | ს არაბეთი | 8.00 |

# ბარბაროსთა მოგზაურობა საქართველოში






*ჩვენი ფოტოკორესპონდენტი ბადრი კეთილაძე ადასტურებს: სანიორესა და წინანდალში ბარბაროსებს არაფერი გაუჩანაგებიათ მწვადის გარდა. ჰო, ღვინოც ყანწით სვეს, თუმცა უფრო ლუდის მოყვარულნი არიან. სამადლობლად კი საქართველოს ჰიმნის შესრულებისას ხელები გულზე დაიდეს.*

*მოკლედ, ძალიან მოეწონათ და კმაყოფილები დარჩნენ.*

*ისე, რამდენ უცნაურობას წააწყდება კაცი: ფიჯელი ფიჯის ჰიმნს პალმების ფონზე ასრულებს. არადა, კახეთია...*












## საქართველო ჩეხეთში ბარბაროსულად მიდის

ბარბაროსებთან ჯახის შემდეგ საქართველოს ნაკრები დღეიდან საერთათასო ჩეხეთთან მატჩისთვის მზადებას დაიწყებს. ამ მატჩით საქართველოს ნაკრები წლევანდელ ერთა თასს დაასრულებს და 2007 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი საშემოდგომო ტურნირისთვის დაიწყებს მზადებას.

თქმა არ უნდა, ჩვენს „ლელოებს" ბედოვლათი ჩეხების დამარცხება არ გაუჭირდებათ და ერთა თასზე მეორე ადგილსაც დაიბევებენ.

ჩვენების სამწვრთნელო შტაბმა საამატჩოდ 23 რაზმელი შეკრიბა. ბარბაროსებთან ნაბულრავებ გუნდს დაემატნენ ჩეხურ „სპარტაში" მოთამაშე შეკრინების გამთამაშებელი ვახტანგ ფაილოძე და ტრავმამოშუშებული კაპიტანი ილია ზედგინიძე. ბარბაროსებთან ნათამაშები შემადგენლობიდან ამოვარდა ოთარ ბარკალაია, ვინც დღე-დღეზე შვილს ელოდება. საჩეხეთო რაზმი კი ასეთია:

**უკანა ხაზი:** *გიორგი ელიზბარაშვილი, ირაკლი მაჩხანელი, ოთარ ელოშვილი, ლექსო გუგავა, რევაზ გიგაური, ირაკლი გიორგაძე, გიორგი კაჭარავა, პალიკო ჯიმშელაძე, ბიძინა სამხარაძე, ვახტანგ ფაილოძე*

**მორკინალები:** *მამუკა მაგრაქველიძე, აქვსენტი გიორგაძე, ავთო კოპალიანი, მიხეილ სუჯაშვილი, დავით ხინჩაგაშვილი, ილია ზედგინიძე, მამუკა გორგოძე, ლევან დათუნაშვილი, შალვა პაპაშვილი, ილია მაისურაძე, რატი ურუშაძე, ბესო უდესიანი, ზვიად მაისურაძე*



ილია ზედგინიძე

## აი, სეირი!
### შვიდი ლიტველი საქართველოს გავლით ევროპას გადაახტა

**ფრანგულ** ლიუნელში გაიმართა ევროპული შვიდკაცას მეორე ეტაპი, სადაც საქართველოს ნაკრებმა ათ გუნდში მეოთხე ადგილი დაიკავა. ამ ტურნირზე დებიუტი ჰქონდა შვიდკაცას ნაკრების ახალ მწვრთნელს ბორჯღალოსანყოფილ ვასილ აბაშიძეს, ვინც ეროვნული ნაკრების მენეჯერიცაა.

ჯგუფში ქართველები საფრანგეთის, ჰოლანდიის, მონაკოსა და ლუქსემბურგის ნაკრებებთან მოხვდნენ. ჩვენებმა ფრანგების გარდა ყველას იოლად მოუგეს, მოშვიდკაცე „მამლებთან" კი 7:17 წააგეს და ჯუფში მეორე ადგილი დაიკავეს. ამის შემდეგ კი სენსაცია მოხდა — „ლელოებმა" ნახევარფინალში ლიტვასთან 7:26 წააგეს და მესამე ადგილისთვის ისევ ფრანგებთან, უკვე 7:26 დამარცხდნენ. სხვათა შორის, ლიტვა ტურნირის აღმოჩენა შეიქნა, რაკი ფინალში ესპანეთს გადაუარა და თავის ისტორიაში პირველი საშვიდკაცო ეტაპი მოიგო.

**საქართველო ლიუნელში**

**ჯგუფური ეტაპი**

**საქართველო 26:5 ჰოლანდია**

**საქართველო 26:5 მონაკო**

**საქართველო 28:0 ლუქსემბურგი**

**საქართველო 7:17 საფრანგეთი**

**ნახევარფინალი**

**საქართველო 7:24 ლიტვა**

**მესამე ადგილისთვის**

**საქართველო 7:26 საფრანგეთი**

# რუსთაველი დუბლსიახლე

## ხმელიძე გვარჯილას ნედლებს დაუყრის



*რუსთავის „აზოტი" ჩემპიონია — ოღონდ დუბლიორებში. ქვემოქართლურმა გუნდმა თბილისის „მაკაბის" ფინალური სერია 2:0 მოუგო და უფროსებისგან განსხვავებით პირველობას დაეპატრონა. რა შეხსენება გინდათ — „აზოტმა" ახლახან ეროვნული ჩემპიონატის ფინალი „ავიამშენთან" დათმო და საჩემპიონო წყურვილი, მეოთხე ცდის მიუხედავად, ვერ დაიკმაყოფილა. დუბლიორთა ჩემპიონობა დიდი ვერაფერი შვებაა „აზოტის" დაღონებული ქომაგებისთვის, თუმც გვარიანი სტიმული კი გახლავთ: ეს თაობა ერთ-ორ წელიწადში „აზოტის" გამწევი ძალა იქნება და აქედანვე ცხადია, რომ ამბიციები ნამდვილად არ მოაკლდება. ამასობაში კი ირკვევა, რომ „აზოტის" ძირითად გუნდს აღარ გაუძღვება მრავალი რუსთაველის დამფრთიანებელი ოთარ ხმელიძე*

— უკვე გადაწყვეტილია, რომ „აზოტს" ახალი მწვრთნელი ეყოლება, ხოლო მე ახალგაზრდებთან ვიმუშავებ — გვითხრა ოთარ ხმელიძემ — ასე გადაწყვიტა გუნდის უფროსობამ.

**— რატომ გადაწყვიტეს ასე და ვინ გაუძღვება „აზოტს"?**

— მიზეზებზე შეგნებულად არ მინდა ლაპარაკი. ჩემს ადგილს, ალბათ, ქართველ სპეციალისტს ჩააბარებენ, ვისი ვინაობის დასახელებისგანაც თავს შევიკავებ. აჯობებს, თავად ხელმძღვანელობამ გამოაცხადოს.

**— რაკი მწვრთნელს ცვლიან, ესე იგი, რუსთავში ამბიციური გუნდის პროექტი ძალაში რჩება...**

— ჩვენი სპონსორი „ენერჯი ინვესტი" ძალიან მოწადინებულია. „ავიამშენთან" ფინალში მარცხის მიუხედავად გუნდის მიმართ ინტერესი არ განელებულა. პირიქით, სპონსორი ძალიან დაინტერესებულია და მომავალი სეზონისთვის გაცილებით ძლიერი გუნდის შეკრებას გეგმავს. მიზანიც შესაბამისად უმაღლესი იქნება.

**— ორიოდ სიტყვით წაგებულ ფინალზე გვითხარით. ჩემპიონობა რომ ვერ გახდით, ძალიან განიცადეთ?**

— აბა, რა იქნებოდა. ეს „აზოტის" მეოთხე ფინალი იყო და ჩემპიონობა ვერც ამჯერად მოვიგეთ. ამის მიზეზი არაერთია და ჩემს წილ პასუხისმგებლობასაც არ გავურბივარ. მწვრთნელის შეცდომებიც იყო, მოთამაშეებისაც, მთლიანობაში კი ის გამოვიდა, რომ დავმარცხდით. იმ წაგების დარდი აქამდე გამოგვყვა და დუბლიორთა ჩემპიონატი რომ მოვიგეთ, არც გვიზეიმია.

**— რა გინდათ, დუბლიორებში ხომ მაინც გახდით ჩემპიონები...**

— ამ გამარჯვებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ესაა „აზოტის", რუსთაული კალათბურთის მომავალი და დღეს რომ წარმატებას მივიპოვეთ, მომავალში უფრო მეტს მოვიმკით. დუბლიორთა გუნდში არიან „აზოტის" სამომავლო კადრები და ძალიან მიხარია, ასეთი კარგი თაობა რომ გვეზრდება.

**— განსაკუთრებით მიხეილ ჭოჭუას გამოუჩენია თავი, რომელიც „აზოტის" ძირითადი გუნდის ხუთეულშიც თამაშობდა...**

— ჭოჭუაზე არანაკლები იყო ცეკვავა. ამ ორი მოთამაშის დიდი დამსახურებაა, „აზოტის" დუბლიორები ჩემპიონები რომ გახდნენ. ჭოჭუამ 8 სამქულიანი ჩაუგდო „მაკაბის" თბილისურ მატჩში, რომელიც დაძაბულ ბრძოლაში 4 ქულით მოვიგეთ. პირველ რუსთაულ მატჩში კი იოლად დავამარცხეთ თბილისელები. ასე რომ, ჩემპიონობას ნამდვილად ვიმსახურებდით.

**— მომავალი წლიდან თქვენ ამ ჩემპიონ გუნდს უხელმძღვანელებთ?**

— ამასაც, და მთლიანად რუსთაულ ბავშვთა კალათბურთს ჩავიბარებ. ჩვენთან ძალიან სერიოზული საკალათბურთო სკოლაა, რომელიც ახალი სპონსორის წყალობით უფრო გაიზრდება და გაძლიერდება. რუსთავში ძალიან უყვართ კალათბურთი და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ გულშემატკივარი აღარ გავაწბილოთ.

**ირაკლი პერტაია**





გორული ძიუდოს სახლი ზურაბ ნოღაიდელმაც დალოცა

# დიდი კაცის დიდი სახლი

**საქართველოს** სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის თაოსნობით გორში აშენდა და ექსპლუატაციაში შევიდა ღვაწლმოსილი გორელი მწვრთნელის, მრავალი თაობის ჩემპიონთა აღმზრდელის, გურამ პაპიტაშვილის სახელობის ძიუდოს დარბაზი.

სპორტული არენა საზეიმო ვითარებაში გახსნა საქართველოს პრემიერმინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა.

გორელ ძიუდოისტებს ახალი სახლი მიულოცა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა გოკა გაბაშვილმა. ბოლოს სიტყვა თავად ამაგდარმა მწვრთნელმა გურამ პაპიტაშვილმაც წარმოთქვა.



გურამ პაპიტაშვილს ამაგი დაუფასეს

გაიმართა ახალგაზრდა გორელ ძიუდოისტთა საჩვენებელი გამოსვლები. და ბოლოს, მომღერალთა და მოცეკვავეთა ანსამბლების მონაწილეობით ულამაზესი კონცერტიც ვიხილეთ, რომელსაც მრავალი საპატიო სტუმარი დაესწრო. მათ შორის იყვნენ სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური, პრეზიდენტის რწმუნებული შიდა ქართლში მიხეილ ქორელი, სახელგანთქმული ძიუდოისტები: შოთა ჩოჩიშვილი, ზურაბ ზვიადაური, ნესტორ ხერგიანი, შოთა ხაბარელი და სხვები.



# ხასაიას ხალიჩა

## ძველი ჩემპიონი ახალ წესებს არ იწუნებს

*შარშან სექტემბერში ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ბერძნულ-რომაულად მოჭიდავე ბადრი ხასაია ხალიჩაზე საჭიდაოდ აღარ გასულა. ევროპის ჩემპიონს მუხლის მძიმე ტრავმის გამო ნახევარ წელზე მეტი გაუცდა და სრულყოფილად ვარჯიშს ახლაღა იწყებს. ხასაიამ უილბლო პერიოდში ნაკრებშიც დაკარგა ადგილი, ევროპის ჩემპიონატიც გამოტოვა და მსოფლიოსთვის გვარიანი შიდა კონკურენციის გადალახვა მოუწევს*



— უკვე ყველაფერი რიგზეა. პრობლემები მოგვარდა და შეგვიძლია, სრული დატვირთვით მოვემზადოთ — გვითხრა გუშინ ბადრის პირადმა მწვრთნელმა *დავით დავითაიამ*, შემდეგ კი შეგირდსაც დაგვალაპარაკა.

**— ტრავმა საბოლოოდ მოირჩინე?**

— ღვთის მადლით, სანერვიულო აღარაფერი მაქვს. შემიძლია, მხოლოდ ჭიდაობაზე ვიფიქრო, რაც ჩვეული დატვირთვით ვარჯიშობ.

**— დიდი ხანია?**

— ვარჯიში ჯერ კიდევ თებერვალში განვაახლე, ოპერაციიდან ერთ თვეში. თავიდან მხოლოდ წელს ზემოთა კუნთებს ვავარჯიშებდი. მერე ნელ-ნელა დატვირთვები გავზარდე, ძუნძული დავიწყე, ბოლოს კი ხალიჩაზეც შევედი. სრულყოფილად ვემზადები, მაგრამ თავდაუზოგავად ვარჯიშებს ჯერ მაინც ვერიდები. ზედმეტი გარისკვა არ ღირს, რა იცი, რა შედეგს მოიტანს...

**— ცხადია, მიზანი ნაკრებში დაბრუნებაა. ოპტიმალური ფორმის აღსადგენად დიდი დრო დაგჭირდება?**

— ჩემი მთავარი ამოცანა საშემოდგომო მსოფლიოს ჩემპიონატზე ჭიდაობაა. ნაკრებში დასაბრუნებლად ივლისში, გივი კარტოზიას სახელობის თბილისის საერთაშორისო ტურნირზე წარმატება მჭირდება. ასე რომ, უახლოეს ერთ თვეში უკვე სრულ მზადყოფნაში უნდა ვიყო.

**— იქამდე ხალიჩაზე გასვლას არ აპირებ?**

— აუცილებლად. სატურნირო გამოცდილების გარეშე ბრძოლა ძალიან გამიჭირდება. თვის ბოლოს რუსეთში უნდა გავემგზავრო, კრასნოდარის საერთაშორისო ტურნირზე და ორი-სამი შეხვედრა მაინც ჩავატარო. ტრადიციულად უძლიერეს ტურნირს ამჯერად ჩემთვის სულ სხვა დატვირთვა ექნება. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, კარტოზიამდე სასურველ ფორმაში ჩადგომა აუცილებლად უნდა მოვასწრო.

**— ამდენხნიანი უქმობის შემდეგ ზედმეტი წონის პრობლემაც ხომ არ გაქვს?**

— რამდენიმე კილოგრამი მართლაც მოვიმატე, მაგრამ ეს პირიქით, სასიკეთოდ უნდა წამადგეს. აქამდე ყოველთვის მაკლდა წონა.

**— შენს არყოფნაში შეცვლილ წესებს ადვილად აუღებ ალღოს?**

— პრინციპში, ბევრიც არაფერი შეცვლილა, თუმც ამ ერთი შეხედვით უმნიშვნელო ცვლილებებსაც კი ვერ აუღო ბევრმა ძლიერმა მოჭიდავემ ალღო. ჩემი აზრით, ახალი წესები ძველზე უკეთესია.

**— ევროპის ჩემპიონატზე ბევრი ძლიერი მოჭიდავის უმედლოდ დარჩენაც ახალი წესების ბრალია?**

— ძირითადი მიზეზი, ალბათ, სწორედ ეგაა. ამ ევროპირველობაზე მართლაც ბევრი მოულოდნელობა მოხდა. საპრიზო ადგილებზე ისეთი ხალხი გავიდა, ძნელი წარმოსადგენი რომ იყო.

**— 84 კილოგრამში შიდა კონკურენციაზე რაღას იტყვი?**

— ჭიდაობა საქართველოში სპორტის ერთ-ერთი უძლიერესი სახეობაა და კონკურენცია ყველა წონაში ძალიან დიდია. გამონაკლისი არც ჩემი წონაა. შალვა გადაბაძის გარდა არის რამდენიმე პერსპექტიული ახალგაზრდა, რომელთაც უკვე ნაკრებში მოსახვედრად შეუძლიათ ბრძოლა. ყველა თავისას ეცდება, შედეგი კი ერთ თვეში ხალიჩაზე გამოჩნდება.

**ოთარ მაღლაკელიძე**

## როლან გაროსი 2006. პარიზი. თიხნარი. საპრიზო 8 137 652 $

# ბელგიური ფინალი ფინალამდე

6 ივნისი

**კაცები**

**მეოთხედფინალი**

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — მარიო ანჩიჩი (12, ხორვატია) 6:4 6:3 6:4; **დავიდ ნალბანდიანი** (3, არგენტინა) — ნიკოლაი დავიდენკო (6, რუსეთი) 6:3 6:3 2:6 6:4

**ქალები**

**მეოთხედფინალი**

**კიმ კლაისტერსი** (2, ბელგია) — მარტინა ჰინგისი (12, შვეიცარია) 7:6 6:1; **ჟუსტინ ენენ-არდენი** (5, ბელგია) — ანა-ლენა გრონეფელდი (13, გერმანია) 7:5 6:2; **ნიკოლ ვაიდიშოვა** (16, ჩეხეთი) — ვინუს უილიამსი (11, აშშ) 6:7 6:1 6:3; **სვეტლანა კუზნეცოვა** (8, რუსეთი) — დინარა საფინა (14, რუსეთი) 7:6 6:0



ფუმფულა და ჭინკა: ბელგიელები ერთმანეთს ნახევარფინალში დაეტაკებიან

**ნიკოლ ვაიდიშოვა** რომ დიდი ტალანტია, ამაში კარგა ხანია, ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ ის, რასაც ნიურნბერგში დაბადებული, ფლორიდაში გაზრდილი და ჩეხეთის სახელით მოთამაშე 17 წლის ჩოგბურთელი „როლან გაროსზე“ აკეთებს, ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა.

წილისყრის შემდეგ მის სათამაშო ბადეს რომ შეხედეს, ალბათ ბევრს დაენანა ნორჩი ჩეხი - ის ფაქტობრივად მონსტრების მეჯლისზე მოხვდა. ჯერ ამელი მორესმო, მერე ვინუს უილიამსი — ამას ცოტა თუ გაუძლებდა, მაგრამ ვაიდიშოვამ პარიზელების თვალწინ საკუთარი ზეიმი მოაწყო და გუშინ მორესმოს გზას უილიამსიც გაუყენა - მოკლედ, ნიკოლშოუ გრძელდება.

ვაიდიშოვა — უილიამსის მეოთხედფინალი გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ჩეხის წინა შეხვედრას. მან კვლავაც საკუთარი შეცდომის გამო წააგო პირველი სეტი, თან კვლავ ტაიბრეიკზე. აქ იქნებ ბევრმაც გაიფიქრა, რომ ვაიდოშოვა მეორედ ნალდად ველარ შეძლებდა ასეთი ხათაბალიდან გამოძრომას.

მაგრამ მეორე სეტიდან დაიწყო და რა დაიწყო. გამოცდილი და მრავლისმნახველი უილიამსი სტატისტის როლითღა დაკმაყოფილდა, რადგან კორტზე მხოლოდ ჩეხი თამაშობდა და ამიტომ ნახევარფინალის საგზურიც მასზე ალალია.

„გაკვირვებული ვარ, არ მეგონა, ორ ასეთ ვარსკვლავთან ჩემი თამაშის ჩვენებას თუ შევძლებდი. მოკლედ, თვითრწმენა გამიორმაგდა“ — ხარობდა ვაიდიშოვა ნამატჩევს.

ნორჩი ჩეხის შემდეგი მეტოქე კიდევ ერთი ძალისმიერ სტილში მოთამაშე სვეტლანა კუზნეცოვა იქნება, რომელმაც რუსულ ჯახში დინარა საფინა დაიფრინა.

ამ მატჩის შემდეგ საფინა ალბათ კარგად გაუგებს მარია შარაპოვას და მიხვდება, რას გრძნობდა ის, როცა დინარასთან შეხვედრაში 5:1-იანი უპირატესობა გაანიავა. ამჯერად იგივე საფინამ „მოახერხა“, გმირის როლში კი კუზნეცოვა გამოვიდა.

ასეთი უპირატესობის გამოუყენებლობამ აშკარად წელში გატეხა მარატ საფინის უმცროსი და, რომელმაც მეორე სეტში კინკილა გეიმის მოგებაც ვერ შეძლო.

მეორე ნახევარფინალი კი წმინდად ბელგიური იქნება — კიმ კლაისტერსი ჟუსტინ ანენ-არდენის წინააღმდეგ. ვერაფერს იტყვი, ნერვები, ბრძოლა და ლამაზი ჩოგბურთი აქ უნდა იყოს.

კლაისტერსმა ნახევარფინალში გასასვლელად მარტინა ჰინგისი დაამარცხა. ამ მატჩში კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ შვეიცარიელს ძალისმიერ სტილში მოთამაშე კარგ ფიზიკურ ფორმაში მყოფ ჩოგბურთელთან ჭიდაობა კვლავაც ძალიან უჭირს.

მარტინამ ტოლ-სწორად მხოლოდ პირველი სეტის ბოლოს იქნია ჩოგანი, როცა 2:5-იანი ჩამორჩენა აღმოფხვრა და საქმე ტაიბრეიკამდე მიიყვანა. ჰინგისმა აქაც ბევრი იბრძოლა, მაგრამ ვერაფერს გამორჩა. მეორე სეტში კი კლაისტერსი ერთი თავით ჯობნიდა მეტოქეს.

ენენმა კი წმინდად კლასის ხარჯზე დაჯაბნა ბოლო ხანებში აშკარად პროგრესირებადი ანა-ლენა გრონეფელდი. გერმანელი ჯერჯერობით აშკარად არ არის მზად ჭინკა ბელგიელთან თანაბარ დონეზე სათამაშოდ.

პირველი ნახევარფინალური წყვილი დააკომპლექტეს კაცებმაც.

როჯერ ფედერერს არაფერი ეტყობა, რომ თავისთვის ყველაზე უხერხულ საფარზე თამაშობს. შვეიცარელმა ერთი ნიკოლას მასუსთან წაიფორხილა, თორემ ისე სამ სეტში გამარჯვება თიხნარზეც ნორმად აქცია. ამ კაცის წამქცევი მხოლოდ რაფაელ ნადალი თუ იქნება, თორემ სხვები „მხიარულ როჯერთან“ შეხვედრებში გამოუცდელ იუნიორებად თუ მოსჩანან.

იგივე დაემართა მარიო ანჩიჩსაც — ხორვატი სეტების დასაწყისში ცდილობდა თანაბრად ებრძოლა, მაგრამ ფედერერი სადღაც მეშვიდე-მერვე გეიმისთვის ოდნავ უმატებდა, საჭირო ბრეიკს აკეთებდა და ამ უპირატესობას ბოლომდეც იოლად ინარჩუნებდა.

**კახა ლომაშვილი**



## პლეი ოფი 2006. ფინალი. პირველი მატჩი

# ქარიშხალმა როულსონი წააქცია

**ფინალური სერიის პირველივე მატჩმა ისეთი დამაინტრიგებელი სიუჟეტი გვაჩუქა, როგორსაც ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა. თამაში რომ ექსტრაორდინალური გამოდგა, ამაზე ოქმიც მეტყველებს, თუმც მარტო ეს მაინც ვერ შეგიქმნით სრულ წარმოდგენას ჯახზე, თუნდაც იმიტომ, რომ ბოლო წამებზე მთლად სასწაული და ფინალისთვის წარმოუდგენელი რამ მოხდა**

5 ივნისი

**კაროლინა 1:0 ედმონტონი**

**კაროლინა 5:4 ედმონტონი**

*0:1 1:2 4:1*

0:1 პიზანი (9), 0:2 პრონგერი (31), 0:3 მორო (37), 1:3 ბრინდამორი (38), 2:3 უიტნი (42), 3:3 უიტნი (46), 4:3 უილიამსი (51), 4:4 ჰემსკი (54), 5:4 ბრინდამორი (60)

ამ მატჩის ბოლო წუთები და წამები ორივე გუნდის ქომაგებს დიდხანს ემახსოვრებათ. ვინ იფიქრებდა, რომ „ედმონტონის“ მიერ თითქოსდა სუფთად მოგებული თამაში ასეთი კოლიზიებით დასრულდებოდა და ფინალისწინა ვარაუდებს გააცამტვერებდა.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ „კაროლინამ“ ზედიზედ სამი უპასუხო შაიბის წყალობით 1:3 ანგარიში 4:3-ად აქცია. თანაც მეოთხე შაიბა „ქარიშხლებმა“ უმცირესობაში შეაგდეს, რითაც თითქოს საბოლოოდ დააბნიეს მეტოქე. მაგრამ მთავარი ინტრიგა თურმე მატჩის დარჩენილ წუთებში გველოდა. 54-ე წუთზე სტუმრები რიცხვმრავლობაში აღმოჩნდნენ და ალეს ჰემსკიმ ჩინებული დარტყმით დალაშქრა ბრწყინვალედ მოასპარეზე კემ უორდის კარი, თუმც რამდენიმე წამის შემდეგ „ედმონტონის“ სიხარული ტრაგედიად იქცა.



ტაი კოლკინის (მარჯვნივ) „საჩუქარი“ როდ ბრინდამორმა შეირგო

მასპინძელთა შეტევისას „ედმონტონის“ მცველმა მარკ-ანდრე ბერჟერონმა ენდრიუ ლადის წინააღმდეგ ძალისმიერი ილეთი გამოიყენა, მაგრამ ისე უშნოდ, რომ კაროლინელი პირდაპირ სტუმართა მეკარე დუეინ როულსონს დაეცა თავზე. შედეგად როულსონი, რომელიც მთელი პლეი ოფია სასწაულად ასპარეზობს და ბევრის აზრით, „ედმონტონის“ წინსვლის მთავარი საწინდარია, ყინულზე გაიშხლართა. მისი ადგილი კარში ტაი კონკლინმა დაიკავა, მეკარემ, რომელსაც აქამდე პლეი ოფში არც ერთი წუთი არ ეთამაშა. თავიდან ტაიმ კარგად გაართვა თავი მოვალეობებს, მაგრამ ბოლო წამებზე საბედისწეროდ შეცდა — კარს უკან გასრიალებულმა უწყინარ სიტუაციაში ისე უხერხულად ჩააწოდა პარტნიორს, რომ მისგან ასხლეტილი შაიბა პირდაპირ „კაროლინას“ კაპიტან როდ ბრინდამორს მიუსრიალდა და მანაც ბედის ასეთი საჩუქარი შეიფერა. თუმც ეს თურმე უბედურების მხოლოდ დასაწყისი იყო. მატჩის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ როულსონის ტრავმა სერიოზულია და დარჩენილ საფინალო თამაშებში ველარ მიიღებს მონაწილეობას. ასე რომ, „კაროლინას“ შანსები მკვეთრად იზრდება, მით უმეტეს, თუ კონკლინის ტრაგიკულ შეცდომას გავითვალისწინებთ. „ედმონტონის“ მოთამაშეები იხტიბარს მაინც არ იტეხენ — მათ მესამე მეკარის, მარკარენის ეიმედებათ.

და ერთიც: ედმონტონელმა კრის პრონგერმა მატჩის შუაგულში ბულიტი გაიტანა. არადა, რაც ლიგა არსებობს, ფინალურ სერიებში არც ერთი ბულიტი არ დანიშნულა.

**სამველ ღარიბიანი**



# გაკვირვებული გამარჯვებული

**გერმანელი** ფაბიან ვეგმანის გამარჯვებით დასრულდა რიგით 58-ე კრიტერიუმ დოფინი ლიბერეს პირველი ეტაპი, რომელიც ანესიდან ბურჟოინ ჟელიემდე 207 კილომეტრზე იყო გაჭიმული.

ვეგმანმა, რომელიც გერმანული გუნდის „გეროლშტაინერის“ წევრია, საფინიშო სპურტით აჯობა ფრანგ ტომას ვოკლერს. ეს ორნი და აგრეთვე ესპანელი ეგოი მარტინესი ფინიშის სიახლოვეს მოწყდნენ პელეტონის მოწინავე ჯგუფს და 200 მეტრიანი სპრინტის ბოლოს გერმანელს მეტი ძალა აღმოაჩნდა.

ამ გამარჯვებით ვეგმანმა საერთო ჩათვლის ლიდერობასაც გამოკრა ხელი და პირველობა ჩამოართვა პროლოგის მომგებ ამერიკელ დეივ ზაბრისკის.

აღსანიშნავია, რომ ეს გამარჯვება თავად ვეგმანისთვისაც კი მოულოდნელი აღმოჩნდა. ბოლო ხუთი კვირის მანძილზე მთლად ჯანზე ვერ ვიყავი, ნორმალურად ვერ ვვარჯიშობდი და ეტაპის მოგებას ნამდვილად არ ვგეგმავდიო — ასე ლაპარაკობდა ფინიშის შემდეგ.

**გია მუჯირი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



AFP



AFP



AFP




AFP

ბერლინის ქუჩებში ველოსიპედით სეირნობა ხომ ისედაც ერთი სიამოვნებაა და თუ მოსეირნენი შვედი მობურთალნი ანდერსონი, ელმანდერი და, კალსტრიომი არიან... ესენი რამდენიმე დღეში მუნდიალის მონაწილეების საპატიო სახელსაც მოიხვეჭენ.

კითხვა ზოოლოგებს: ეს რა ცხოველია? ჩვენ კი დავძენთ, რომ ფიტული ეკვადორელი გულშემატკივრის თავს ამშვენებს.

ამასობაში ალბიონელნი რუნი და ბექემი შატალოზე არიან. იქამდე სამედიცინო შემოწმებაზე იყვნენ და ბექემმა მაისურა იქ დატოვა.

არგენტინელები კამბიასო და აბონდანსიერი სურათს იღებენ ფანებთან. ფანებს სულაც არ ანაღვლებთ, რომ მესერი მათ სიახლოვეს მოჩვენებითს ხდის.

ბიქსენტ ლიზარაზუ — შოუმენად ქცეული — ტოკ-შოუში ეპატიჟება მთელ საფრანგეთის ნაკრებს: ტოკ-შოუებს ამდენი ვარსკლავი ერთად ალბათ არასდროს ჰყოლიათ.

დარწმუნებული ვართ, თქვენც არ იტყოდით უარს შენგენის ვიზაზე, თვითმფრინავისა და ფეხბურთის ბილეთებზე. ეს ფანი კი მხოლოდ ფეხბურთის ბილეთს ითხოვს.



AFP




AFP

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კუთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაб წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge